ტფილისი

№ 118
ივნისის 4, ოთხშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 118
ივნისის 4, ოთხშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია"
ჰღირს 6 მან. 75 კაპ.
გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

## კავკასიის რკინის გზის მმართველობა

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 5 ივნისს, დილის 10 საათზედ, სადგურ ნავთლუღში გაიყიდება 5 რუმბი ღვინო განჯიდგან ნავთლუღში გამოგზავნილი, რომელიც პატრონებმა არ გაიტანეს № 1867, წონით 237 ფუთი.

ღვინო დარჩება იმას, ვინც მეტს ფასს მისცემს იმაზე, როგორც დაფასებულია. (3—6—3)

## საწყობი ქაღალდის
## დიტიატკოვსკის ამხანაგობის

მოსკოვი 1882 წ. ნოვოგოროდი 1896 წ.

საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი ფაბრიკის ფასად.

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილისის საკომერციო ბანკისა.
ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.
ტელეფონი № 66. (30—6.—3)

მემამულეთათვის საყურადღებოდ.

მსურს ვიყიდო ქ. ტფილისის მახლობლად, არა უშორეს 20 ვერსისა, ან რკინის გზაზე სადგ. კასპამდის მევენახეობისათვის გამოსადეგი მიწა, 2—10 დესიატინამდე, ერთ ნაჭრად. ამ რიცხვში სარწყავი ადგილი არა ნაკლებ 1 დესიატინისა; გადიდიანი მსურველი მოგვმართონ წერილით „ივერიის" რედაქციაში, ი. ნ—ს.

ქართულ ქალთა ამხანაგობის
## სამკერვალოში
მიიღება ყოველგვარი ხელსაქმეები: თეთრეულ ფერადი ძაფით ნაქარგები და კაბების ქარგვისა და ბავშვებისა.
ბარონის ქუჩა, № 12.

ექიმი
## ვ. ლამბაშიძე
იღებს შინაგან და ბავშვთა ავადმყოფებს დილის 6—7 საათამდე.
ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი განქის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი
იუნგე ბაქურის ძე
## ახალშენიშვილი
ელისაბედის ქუჩა, 38.
იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-მდე, ხოლო საღ. 5—7-მდე. კვირაობით და უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამ. 5—7-მდე. (წლ.)

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(ქუქია, გარსევანიშვილის ქუჩა, № 14)
ავადმყოფებს იღებენ ყველ დღე, კვირა დღეების გარდა.
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. ბავშვთა, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.
მ. ზ. აზეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.
ი. ხაზანახოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.
ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.
ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.
ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:
ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)
ვ. ს. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.
ქალი ექიმი ა. ი. შჩერბანინა 7—7½ საათამდის, ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.
ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.
ს. ტ. არზანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნ ა ვ ა ს ა რ დ ი ა ნ ი.
Первая частная лѣчебница д-ра Навасардiана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

## კერძო სამკურნალო
ექიმის მუსხელაშვილისა
(გედევანიშვილისეული)
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
ვ. ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.
ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.
ვ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.
ბ. ბ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.
ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.
ზრ. ვ. სობოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.
ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ოთხშ. და შაბათი. 5—6.
ა. ბ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)
მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.
მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.
რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)
46—8 ტელეფონი № 617

# ტფილისი

✦ ბათუმიდგან დეპეშით გვატყობინებენ, რომ იქაურ გამგეობის წევრად საბჭოს ხმის უმეტესობით აურჩევიათ გ. დ. ჟურული.

✦ ტფილისის გუბერნატორმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ საბჭოს მიერ არჩეული თ-დი ა. მ. არღუთაშვილი-მხარგრძელი არ დამტკიცდება სამოსწავლო კომისიის წევრადო.

✦ ვაჭართა საზოგადოების წლიურ კრებამ 15,000 მან. გადასდო ტფილისის კომერციული სასწავლებლის შენობის შესაკეთებლად.

✦ ტფილისის კადეტთა კორპუსში წელს 43 ყმაწვილმა დაასრულა სწავლა. მათ შორის 12 ქართველია.

✦ ახლად დაარსებული ბებიათა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოების პირველი კრება იყო კვირას, 1 ივნისს. კრებამ აირჩია თავმჯდომარე სამმართველოსი, მისი ამხანაგი, ხაზინადარი და მდივანი. სამმართველოს წევრების არჩევა სხვა დროსათვის გადაიდო.

✦ დღეს, 4 ივნისს, დანიშნულია კრება ტფილისის ბავშვთა სამზრუნველო საზოგადოებისა, სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დარბაზში, საღამოს 8 საათზე.

✦ გუშინ-წინ, 2 ივნისს, ტფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის სადგომში კავკასიის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელთა კრება დაიწყო, რომელსაც სამასწავლებლო ოლქის მზრუნველი, საშუალო სასწავლებლის დირექტორები და მრავალი მასწავლებელი დაესწრო: საქართველოს ეგზარხოსმა ყოვლად სამღვდელო ალექსიმ პარაკლისი გადაიხადა. ოლქის მზრუნველმა და ინსტიტუტის დირექტორმა სიტყვები წარმოსთქვეს კრების მნიშვნელობაზე. კრება 11 ივნისამდე გასტანს.

✦ კვირას, 1 ივნისს, ტფილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიის დარბაზში კრება იყო მოსკოვის საარქეოლოგიო საზოგადოების განყოფილების წევრთა ბ-ნ ლ. გ. ლოპატინსკის თავმჯდომარეობით. კრებამ გადასწყვიტა მიანდოს არქეოლოგიური გამოკვლევა: კ. განსონაქალაქევში (სენაკის მაზრა), სადაც ძველად ქალაქი ყოფილა, ე. თაყაიშვილის—ბორჩალოს მაზრაში, და დ. შულცს—სოფელ კუშჩში (განჯის მაზრა). კრებამ მოისმინა ბ-ნ შულცის მოხსენება ძველ სასაფლაოების შესახებ განჯის გუბერნიაში, სადაც უპოვია ორ-სართულიანი საფლავები და შიგ 18 კაცის ჩონჩხი, ბრონზისა და რკინისა ნივთები, მძივი, ხმალი, ბეჭდები და სხ. ერთს ქვას, რომელიც იქვე უპოვიათ, იეროგლიფის მინაგვარი ნიშნები ეტყობა. ბ-ნ ლოპატინსკის მოგზაურობის დროს ყაბარდოში ერთს ძველს ტაძარზედ წარწერა უნახავს და გადმოუხატია. ეს წარწერა ასომთავრულად ყოფილა დედა ღვთისა. იმავე ეკკლესიაში ძველი ჯვარი არის რომელსაც ქართულადვე აწერია ჯვარი.

✦ მეპურეების შუამდგომლობა, რომ მთელ ამქრისათვის სავალდებულო წეს-რიგი შემოიღონ, ტფილისის გუბერნატორმა არ შეიწყნარა და გამოუცხადა მთხოვნელთ, რომ შეგიძლიანთ ნება-ყოფლობით შემოიღოთ წესი, ხოლო ამქარს ნება არა აქვს სავალდებულო დებულება გამოსცესო.

✦ მკვიდრ ხელოსანთა გარდა, ტფილისში მრავალი ლეკია მკალავი, რომელიც აქამომდე მკალავთა ამქარს არ უერთდებოდა, ეხლა-კი სახელოსნო გამგეობამ დაავალა ამ მკალავთ უთუოდ ამქარში ჩაეწერნენ და საამქრო ხარჯიც იკისრონ.

✦ პარასკევს, 6 ივნისს, საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს კრებაა დანიშნული.

✦ ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორი უკვე იღებს თხოვნებს ამ სასწავლებელში შესვლის მსურველთაგან.

✦ ტფილისის საეკკლესიო მუზეის მიუღია მრავალი თ-დ ალექსანდრე მაჩაბლის მიერ შეგროვილი ხელთ-ნაწერი, რომელთა შორის ბევრი საისტორიო მასალა იპოვება საქართველოს თვით-არსებობის უკანასკნელ დროისა.

✦ ტფილისის მეპურეთა ამქარმა აირჩია: უსტაბაშად—ყარამან ბალიაშვილი, მის თანაშემწეებად—ალიმბარაშვილი და თოროზოვი, დეპუტატებად—მიხეილ მათიაშვილი და ერნსტ პავლიჩევი.

✦ ტფილის ოლქის სასამართლოს სესსიამ თიანეთში 30 მაისს განიხილა საქმე ლუკა რაზიკაშვილისა, რომელსაც ჰბრალდება, რომ ტყის-მცველისათვის სიტყვით და საქმით შეურაცხყოფა მიუყენებია 1902 წელს. ბრალდებულმა განაცხადა, რომ თვით ტყისმცველმა მაიძულა მათრახით მომეგერებინაო, და ამის დასამტკიცებლად სთხოვა სასამართლოს, გადასდეთ საქმის განხილვა ჩ უმთავრესი მოწამე გიორგი ივანაშვილი დაიბარეთო, რადგანაც ის დაესწრო მოხელესთან შეტაკების დროსაო. სასამართლომ არ შეიწყნარა ეს თხოვნა და განაჩენი გამოაცხადა, რომლის ძალით ლუკა რაზიკაშვილი დაპატიმრებულ უნდა იქმნას ორის თვით. ბრალდებულს პალატაში გადააქვს საქმე.

—

**ტფილისის ქალაქის საბჭო,** 2 თიბათვეს კრებას თავმჯდომარეობდა გამგეობის წევრი თავადი ვ. ჩერქეზიშვილი. პირველად საბჭომ მოისმინა საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ქალაქის სამრევლოს სკოლებისათვის ქალაქს ყოველ წლიურად 3700 მანეთით დახმარება აღმოეჩინა. ამ დახმარებაზედ გამგეობას უსაღსრობისა გამო უარი ეთქვა მთხოვნელისათვის.

სამღვდელოების დეპუტატი დეკანოზი ვოსტორგოვი. უაღლეს მთავრობას დიდი ყურადღება აქვს მიქცეული სამრევლო სკოლებზედ. ამ სკოლებს ჩვენ ისე კი არ უნდა ვუცქეროდეთ, როგორც სახელმწიფოს სახელმწიფოში, არა, ამათი აზრი იგივეა, რაც სამინისტრო სკოლებისა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ სამრევლო სკოლებში რელიგიოურ-ზნეობრივ აღზრდას პირველი ადგილი უჭირავს, რისათვისაც ამ შკოლებში სამღვთო სჯულის სწავლებას პირველი ადგილი აქვს დათმობილი. ამასთან სამშობლო ენას ამ სკოლებში თვალსაჩინო ადგილი უკავია, ის ანტოგონიზმი, რომელიც სამინისტროსა და სამრევლო სკოლებ შორის არსებობდა, ამ ბოლოს დროს განქარდა. ტფილისს სამრევლო სკოლების რაოდენობით სახელმწიფოში მოსკოვის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს. ტფილისში სულ 37 სამრევლო სკოლაა, ოთხიც შემოდგომაზედ მიემატება. მოსწავლეთა რიცხვი უდრის—1706; ამათგან 795 ქალია. ამ სკოლებში ყველას იღებენ განურჩევლად წოდებისა და სარწმუნოებისა. სარწმუნოების მხრივ აქ მოსწავლენი ასე განაწილდებიან: მართლმადიდებელნი მოსწავლენი არიან: 1,399; სომეხ-გრიგორიანები 222; მწვალებლები (სექტანტები) 125; ურიები 5; მაჰმადის სარწმუნოებისანი 4; კათოლიკე 1. იმ 18,142 მანეთიდგან, რომელიც სამრევლო-სკოლებზედ იხარჯება, ერთი მეოთხედი ქალაქის სამრევლო სკოლებს უნდება; ამ სკოლებს ქალაქის მცხოვრებთა განათლებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით; ამასთან ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სკოლებში ღარიბთა შვილები სწავლობენ, ქალაქი-კი დღემდის ამ სკოლებს დახმარებას არ უწევს. ყველა ამ მოსაზრებით მე ვთხოვ საბჭოს, დახმარება აღმოგვიჩინოს; ტფილისი პირველი მაგალითი არ იქმნება ამ გვარის დახმარებით; სხვა ქალაქებიც უწევენ სამრევლო სკოლებს დახმარებას, მაგალითად, ბათუმი, ბაქო, განჯა, ყარსი და სხვანი. მართალია, დაუმატა მღ. ვოსტორგოვმა, ჩვენი სკოლები სწავლის მხრივ მაღლა არა სდგანან, ამაში, რასაკვირველია, როგორც ამ სკოლების უფროსს მეც მედება ბრალი, მაგრამ ამას დიდი ყურადღება არ უნდა მივაქციოთ; აი, სწორედ ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ საბჭოს ვსთხოვთ დახმარებას, რათა სკოლების საქმე უფრო უკეთ მოვაწყოთო. ბოლოს დაუმატა: იმედი მაქვს ბატონნი ხმოსანნი ზოგიერთ გაზეთების მიერ ამ სკოლების შესახებ გავრცელებულ ცუდ ხმებს ყურადღებას არ მიაქცევენ და თანაგრძნობით მოეკიდებიან ჩვენს თხოვნას.

ამ საგნის შესახებ რამდენმამე ხმოსანმა ილაპარაკა. ა. ბაბოვმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ თხოვნის დაკმაყოფილება ქალაქს უსაღსრობის გამო არ ძალუძსო; სპეშნიკოვმა ისა სთქვა, რომ შეძლება რომ გვქონდეს, ქალაქის სკოლებს გავამრავლებთო; გრიქუროვმა კიდევ განაცხადა: სომხებიც ითხოვდნენ 180 მ. შემწეობას სამრევლო სკოლებისთვის, მაგრამ უარი ვუთხარითო. ერთად ერთი ა. ზ. ჩოლოყაშვილი ამტკიცებდა. სამრევლო სკოლებში ქართულ ენის სწავლება კარგაა დაყენებული და თხოვნაზედ პრინციპიალურად უარი არ უნდა ვუთხრათ, თუ წელს არ შეგვიძლიან შეწევნა, კვლავ შევეწიოთო. საბჭომ ხმის უმეტესობით საეპარქიო, სამოსწავლო საბჭოს უარი უთხრა თხოვნაზედ.

შემდეგ საბჭომ აირჩია თავის წარმომადგენლად მ. ქ. ყიფიანი ტფილისის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს განყოფილებაში.

ამავე კრებაზედ საბჭომ გაარჩია რობის განცხადება და თხოვნაზედ უარი უთხრა. რობი თხოულობდა, საბჭომ ნება დამრთოს, რათა პირველისა და მეორე კლასის ვაგონებიც ვიქონიო, მამა დავითის მთაზედ ფუნიკულერს რომ გავიყვანო. ამასთან ფასიც მეტი იქნება ამ კლასებით წამსვლელებზედაო.

შემდეგ საბჭომ განიხილა გუბერნატორის წინადადება იმის შესახებ, რომ ქალაქმა ღონისძიებანი მიიღოს წყლის გასაუმჯობესებლად. საბჭომ ეს წინადადება წყლის მოწესრიგე კომისიას გადასცა.

ქალაქის მოქალაქეები შუამდგომლობდნენ: ქალაქმა უფასოდ დაგვითმოს დარბაზი, როცა კრება გვექნებაო. ესენი 25 მან. ღამით იხდიან და 15 მ. დღისით, როცა კი კრება აქვთ ხოლმე ქალაქის დარბაზში. საბჭომ უარი უთხრა.

ქალაქის მოსამსახურედ ნამყოფი იახშიბეგოვი ქალაქს სთხოვდა, ფულით დახმარება აღმომიჩინეთ, რადგან რა თქვენთან სამსახურს თავი დავანებე სხვაგან აღარ მიღებენო. ხმა გავრცელებულა, ქალაქს რომ ობლიგაციები მოჰპარეს იახშიბეგოვს წილი ედოვო. ეს კი სიცრუვე ყოფილა. ამ ხმებს ისე უმოქმედნია, რომ იახშიბეგოვი სამსახურში აღარსად მიუღიათ. საბჭომ უარი უთხრა.

შემდეგ საბჭომ გაარჩია ჩოხონელიძის ქვრივის თხოვნა და გადასწყვიტა 180 მან. მიეცეს საჩუქრად. ამის ქმარი ქალაქს ჰყოლია ავჭალაში ათის წლის განმავლობაში მებაღედ.

შემდეგ მოისმინა ქიუჩარიანცის საჩივარი გამგეობაზედ იმის შესახებ, რომ გამგეობას ნება არ მიუცია მისთვის შენობა აეგო ნიკოლოზის ქუჩაზედ. საბჭომ ეს თხოვნა უყურადღებოთ დასტოვა იმის გამო, რომ ეს ადგილი ქალაქისაა და არა ქიუჩარიანცისაო.

ბოლოს საბჭომ ამოირჩია ნ. ე. ზუბალოვის ანდერძის აღმასრულებელ კომისიის თავმჯდომარედ ა. ი. ბეთუთოვი.

## მეფე ერეკლე და მისი წერილები.

### XVI

დაიბარა მეფე თეიმურაზმა კახეთიდგან მეფე ერეკლე და დედოფალი ანნა დარბაისლებით. გზად მომავალნი კახნი საჴგარში გამაგრებულს ლეკის თარეშს წამოაწყდნენ. გადუცვივდნენ შიგ სანგრებში და „რისხვა ღვთისა დასცეს, ამოსწყვიტეს ლეკნი, დასჭრეს თავები... ქალაქს რა მოეახლა მეფე ერეკლე, გაეგებნენ სრულიად ქართველნი, აგრეთვე დასნი სამღვდელონი და მოქალაქენი, შეასხეს ქება, ვითა შვენოდა...თქვენმა მზემა, ერთი უკეთესი სანახავი კაცის თვალით აღარ ინახებოდა—წიაღსა ტაიჭსა ჯდა (მეფე ერეკლე), ქარქაშ ხიჭვითა, ოქროთა მოჭედილი, წელთა ერტყნეს, კაცსა მისი შეხედვა განაღიგებდა, სუმბულნი (წვერ-ულვაში) ახლად აშლოდეს [1]), ვარჯნი მუშკთა მფრქვეველნი, თხემთა დაშლოდეს გარემოცვითა, ვარდნი (თმა) სახდომად გაშლოდეს; ტან-კვიპაროზი გმირ-ფალავნურად აღზრდოდეს, მისთა შემხედთა ზედა მიჯრით ერთი მეორეს გქონდეს... მიბრძანდა სარაიათა, სამეოფოთა მეფისათა, გადმოხდა ცხენისაგან, მოეგებნეს მეფე და დედოფალი, მოეხვივნეს სურვილით... ბრძანა მეფემა დროშათა გაკეთება. გააკეთეს, ვითაც ძველად რიგი ყოფილიყო, დროშა ოთხი ჯვარითა მოცული. ერთი უბოძა ორბელიანს ქაიხოსროს [2]), მეორედ მუხრანბატონს კონსტანტინეს, მესამე ამილახორს დემეტრეს და მეოთხე ბატონის კერძო ვლიდა. გამართნეს მცხეთას მეფენი ორნი და დედოფალნი, ერნი და დარბაისელნი ქართლისა და კახეთისანი... აგრეთვე დასნი სამღვდელონი... შემოიხვივნეს თვის თვისი ჯარი დროშათა. ორისავე საერისთოს ჯარი არაგვს მოეგებნეს. უბრძანა ორსავ ერისთვის ჯარს მუხრან-ბატონის დროშაზედ მისვლა, ვითაც ძველთაგან ორი ერისთვისა მამული მუხრანბატონის სასარდლო ყოფილ იყო.. მიბრძანდნენ მცხეთას. ანტონი კათალიკოზი ქვეთილსათნოებით აღჭურვილი, ტრფიალებათა საზეპიროთა ზედმიწევნით აღგზნებული... არ დაცადებდა ჟამითი ჟამად სიბრძნე მრავლობით წესთა და მართლიად გამოიკვლევდა წერილთაგან კურთხევასა მეფისასა... ორი დღე დაიყოვნა და განაწესნა ყოველნი სამღვდელონი, ანუ საეროსნი და წესნი დღის მისისანი მზა ჰქონა ყოველნი. დღესა მესამესა გამობრძანდა ბატონი კარედ საყდარს წინ ანტიოქასას [3]), ზემორე სეფე იდგეს დიდი და სეფესა გვერდით სევანი დაედგნეს.

დაბრძანდა სევანსა შინა და გვერდთა იახლნეს დარბაისელნი, ვინა ჯდომისა ღირსიყვნეს, ვინა დგომისა—ეგრეთ ყოველნი განეწესნეს. მოიტანეს სამეფო შესამოსელი — პორფირი, ბისონი და დიადიმა ბოხჩებით. ეგრეთვე გვირგვინი, ხმალი, სკიპტრა და ქვეყნისა სფეროჲ. ესე ყოველი ამიერ და იმიერ მოეწყვეს...

მოვიდა მთავარ ეპისკოპოსი არსენ შემოსილი, მთავარ-დიაკონნი შემოსილნი წინა უვიდოდეს კმევითა, საკმეველისათა, აგრეთვე ჯვარისა მტვირთველისათა ჯვარიპატიოსანი აღემართნეს და მგალობელთა დასნი მოუძღოდეს და გალობდეს გალობასა ჯვარისასა. მოვიდნენ და თაყვანისცეს და ეამბორნეს მეფესა...

აღიღეს სამეფო შესამოსელი და იარაღი მოსცეს მთავარ-ეპისკოპოზსა, იტვირთა ორთა მკვლავთა ზედა და წარმოვიდნენ ეგრეთ გალობითა, შეიტანეს ეკლესიასა შინა, დარეკეს მწუხრისა, წამობრძანდა მეფე, ჰკრეს ქოსთა და სპილენძ-ზურნათა. მოეგებნეს ეპისკოპოსნი, ყოველი მღვდელთ მთავარნი... და თაყვანისცეს ბატონსა. დაიწყეს ლოცვა მწუხრისა... იყო დამისთევით გარდახდა, დღესასწაული იყო სვეტის-ცხოვლისა და მეფის კურთხევის რიგიც შესძინეს.

ყოვლად ნეტარმა ანტონი პატრიარქმა არაკლებულ ქმნა მრჩობლ დღესასწაული, ყოვლადვე სრულიად გარდაიხადა—პურის კურთხევით, სანთლის გაყოფით, ზეთის ცხებით და ყოვლისა წესითა განაწესებინა ეკლესია.

გათენდა დილა. მოფარდაგნეს სეფე და მოიტანეს დროშანი ოთხნივენი და აღმართნეს სეფესა წინ და თვის თვისი ჯარი გარსა შემოეხვივნენ.

ბატონი დაბრძანდა სეფესა შინა,... მოვიდნენ დასნი სამღვდელონი შემოსილნი, კარის დეკანოზსა (იოვანე გარსევანიშვილი) ხატი პატიოსანი თავსა ედვა, ჯვარის მტვირთველსა ჯვარი ეპყრა, მთავარ-დიაკონნი აკმევდეს საკმეველთა, მღვდელნი უკანა უვიდოდეს, ყოველთა დიდრონი დამპარნი ეტვირთნეს და მგალობელნი გალობდენ. მოვიდნენ ეგრე და ბატონს თაყვანი სცეს. რაც ციზიდაში ქალაქს იყვნეს ყოველივე ნახვად მოსულიყვნენ. წარდგა პატრიარქის არხიდიაკონი და ბატონს დიპტვლა (მრავალჟამიერობა) მოახსენა და ქება შეასხა.

მიიწვიეს ბატონი ეკლესიად. წარუძღვნენ ეგრეთ დასნი სამღვდელონი, ჰკრეს ქოსთა და სპილენძ-ზურნათა, უწინარეს ყოველთა მორთულთა აქლემთა კიდებულნი ქოს-ნაღარანი და სპილენძ-ზურნი მიუძღოდეს და ამას დროშა სარდლისა მისდევდეს... ამას შეუდგნენ გამგენი კარისანი—სიძე მეფისა დიმიტრი ორბელიანი, მანდატურთუხუცესი და განმგე დიდებულისა კარისა: ზაალ ორბელიანი, რომელსა ეპყრნეს წინამძღოლნი მეთოფენი მეფისანი. მობძანდებოდა ბატონი, მარჯვნივ მკლავი სარდალს ქაიხოსროს ორბელიანს ეპყრა და მარცხნივ მკლავი მუხრან-ბატონს კოსტანტინეს. უკანა მოსდევდეს დიდებულთა შვილნი ტვირთულნი საბჭურთა იარაღთა, ყოველივე იარაღნი მეფისანი თითო თითოსა ეპყრნეს. ეგრეთ სამივ დროშანი თვისის ჯარებით ამიერ და იმიერ მოსდევდეს. რა მიახლნეს ეკლესიასა, სამი დროშა მარტივად კარზე დაასვენეს და ჯარი იარაღით ეკლესიასა შევიდნენ, ბატონის დროშა მორდალს დავითს ეპყრა, შეიტანეს საყდარსა და აღსავლის კარზე დაასვენეს. კარის ბჭეში მოეგებნეს ბატონს პატრიაქი შემოსილი და ეპისკოპოზნი და სამღვდელონი და თაყვანი სცეს, ცალ-კერძ პატრიაქი მოუდგა (ანტონი), ცალკერძ მთავარეპისკოპოზი (კირილე ციციშვილი)... შეუძღვნეს ხატითა, ჯვარითა, დამპრებითა მთებარითა და ეგრე გალობით შეიყვანეს... ფეინდაზი ეშალა კარითგან საყდრისა შუაგულობამდის... მიიყვანეს, აღსავლის კარის ქვემოთ დაასვენეს, ეპისკოპოზნი ამიერ და იმიერ მოუდგნეს, აგრეთვე სომეხთა დასნი და ფრანგნი ყოველნი იდგნეს შემოსილნი და განკრძალულ ისმენდეს. პატრიაქმან ჰკითხა მეფეს სარწმუნოება და მერე აღთქმისა ეპისტოლე წაუკითხა, მერე წამოუძღვანეს წინ და საყდრის შუაგულობას ტახტი იდგა დიდი, ოთხი ხარისხი შევიდოდა, აიყვანეს, ორი სელი იდგა, ერთზე მეფე დაბძანდა და მეორეზე პატრიაქი, ცალკერძ მთავარეპისკოპოზი და ცალკერძ აღავერდელი, სხვანი ეპისკოპოზნი—ექვსი ამიერ და ექვსი იმიერ განეწყვნეს... მოიტანეს ბისონი და ჩააცვეს. დაიწყეს წირვა. ოდეს მოვიდა ჟამი, წაბძანდა პატრიაქი, შებძანდა წმიდაწმიდათასა. შემდგომად მიიწვიეს მეფე საკურთხეველად, ცალი მკლავი სარდალს ქაიხოსროს ეპყრა და მეორე მუხრან-ბატონს. აღსავლის კარზე მთავარ ეპისკოპოზი და აღავერდელი (ნიკოლოოზ ანდრონიკაშვილი) მიეგებნეს და შეიყვანეს საკურთხეველად; სცხეს საცხებელი შუბლთა, ბეჭთა და გულთა ჯვარის სახედ. თქვა პატრიაქმა სადმრთო მადლი (ლოცვა), ბისონსა ზედა ჩააცვეს დიადიმა; წამოასხეს პორფირი, დაადგეს გვირგვინი სამეფო, მისცეს მარჯვენასა ხელსა სკიპტრა და მარცხენასა ხელსა ქვეყნისა სფეროჲ... პირველად სამღვდელონი ეზიარნეს და მერე გარდმოასვენეს წმიდა ბარძიმი და მიიღო მეფემ წმ. ზიარება პატრიარქის ხელითა. ამისა შემდგომად სკიპტრა რევაზ ორბელიანს მოსცეს და სფეროჲ მეითარს ზურაბს... განსრულდა ჟამის წირვა, გამობძანდა მეფე ცხებული საკურთხევლით, ცალკერძ პატრიარქს ეპყრა მკლავი, ცალკერძ მთავარ ეპისკოპოზს. მოიყვანეს მარჯვნით; კერძო სამეფო ტახტი იყო, იქ დაბძანდა, მიიტანა სარდალმა ქაიხოსრო ორბელიანმა, რომელი იყო ამირ-სპასალარი, ხმალი მეფისა, დაულოცეს და შემოარტყეს, პირველად მივიდნენ დასნი სამღვდელონი და ხელთა ეამბორნეს, მერე მივიდნენ დარბაისელნი, გუნდნი ერთანი და ხელთა და კვარცხლბეკთა ეამბორნეს.

გამობრძანდა ეკლესიიდ, შეიქნა სრიალი თოფ-ზარბაზანთა, სცემდენ ქოსთა და სპილენძ-ზურნათა, რომ ყურთა ხმა აღარ ისმოდა. მადლობდნენ მორწმუნენი ღმერთსა, აკურთხევდენ დასნი სამღვდელონი, აქებდენ ერნი, ამკობდენ მგალობელნი, დოცვიდენ გლახაკნი, აღამაღლებდენ ხმასა ქრისტიანნი, შეფრფინავიდენ ობოლნი და ყოველნი სულნი შეასხმიდენ ქებასა მეფესამეფეთასა. შებრძანდა საყდარსა, გარემოს სევანი იდგნეს ოქსინოთა მოფარდაგებულნი, დაბძანდა მას შინა და დიდებულნი თავშიშველნი თავს იდგნეს. მიბძანდა დედოფალი და მიულოცა და გარდაასხა გვარი. მიბძანდნენ უფლისწულნი მიულოცეს, ეგრეთვე ჯალაბნი დარბაისელთანი, განთავდა რიგი მილოცვისა. წამობძანდა მეფე სეფესა შინა, ვითაცა ზეით აღმიწერია ეგრე დიდებითა და რიგწესულობითა, მობრძანდებოდა სარდალი და მუხრან-ბატონი მკლავთა მპყრობელი ამიერ და იმიერ უდგნეს, პორფირისა უკან მკლავთა ცალკერძო რევაზ ორბელიანს ეპყრა და ცალკერძო მეითარს ზურაბს .. დროშანი ოთხივე სეფესა წინა აღმართეს და ჯარი გარს შემოეხვივნეს.... წამოდგნენ მღვდლები წესისაებრ, წაიკითხეს ლოცვარნი, მოიწვიეს დარბაისელნი, ვინა ჯდომისა ღირსნი იყვნეს, ვინა დგომისა. დიმიტრი ორბელიანი განაგებდა რიგთა და წესთა მეჯლიშისათა. შეიქნა ლხინი, ვითარც ქართლის რიგი ყოფილიყო ცდილობდენ გამოჩენასა. ვითა მართებდათ ქართველთა, ეგრე გულსრულობით სიხარულს არა დაცადებდნ, ამით რომე დიდი ხანი გარდაცვლილიყო, ქრისტიანე მეფე არა სჯდომოდათ, მერე კურთხევით გვირგვინოსანი მეფე არ ეხილათ. ახლა ეს ღვთის წყალობა მოევლინათ—ქრისტეს-მორწმუნე და სარწმუნოება შეურყეველი წყვე დაუჯდათ, დიდნი და მცირენი მადლობდნენ ღმერთსა. გაიყარა მეჯლიში. ცოტა ამაზე იყვნეს მეშინვარე კახს-ბატონს არ შეეძლო, მისთვის აღარ დაიყოვნეს და გამოემზადნეს ქალაქს. .. მიეგებნენ მოქალაქენი, დასნი სამღვდელონი, შეასხეს ქება, ....დაჯდა ტახტსა ზედა და იპყრა სასწორი სიმართლისა.... [4])

[1]) ამ დროს (1745 წ. სეკტემბრის 24) ერეკლეს ოცდა ხუთი წელიწადი უსრულდებოდა.

[2]) ეს დროშა დღე დაცულია თ. გ. ი ორბელიანის ოჯახში. ვერცხლის ბუშტზედ ალმართულია პრტყელი ვერცხლის ჯვარი, შუაში წმ. გიორგია გამოქანდაკებული, გარს რგვლად შარავანდედ მოვლებული. ჯვრის მხრებში აწერია: „ქ. ჩვენ: კეთილ: მსახურმან: მეფემან: თეიმურაზ: მიუბოძეთ დროშა ესე: წინამბრძოლსა ჩვენსა ამირ-სპასალარსა ქაიხოსრო-ორბელიანს, ოდეს ცხებულ ვიქმენით საცხებელითა: ს მეფოთა: თვესა ოკდომბერსა. ა. დღესასწაულსა კათოლიკე ეკლესიისა სვეტისა ცხოველისასა, ქრისტეს აქეთ ჩღმე, ქვოს ულგ (—1745 წ.)

ამაზედ უძველესი ორბელიანთ დროშა, ვგონებ თამარმეფის დროინდელი, დღეს ეკუთვნის ქალბატონს ანასტასია დავითის ასულს კნეინა გაგარინისას და საოჯახო ხატებთან ჰქვენია.

[3]) უძველესი საყდარი, წმ. ნინოს დროინდელი, ზედ არაგვის კლდოვან ნაპირზედ დღესაც დაღვრემილი გაჰყურებს არაგვის ხეობასა.

[4]) ანუკა ბატონიშვილი 1 იანვარს 1746 წ., ხოლო თამარ დედოფალი 12 აპრილს. 1745 წ. ნოემბერში მოვიდა ხორასნიდან თვალებ დათხრილი შანშე ერისთავი; მისი ძმა იასე ყულარაღასი-კი გზაში მომკვდარიყო და მიცვალებული მოასვენეს ქალაქში.

## დრაგა—დედოფალი სერბიისა.

(ბელგრადელის მოგონებანი)

(გაგრძელება *)

დიდს ხანს არ გაგრძელებულა დრაგასა და მაშინის ბედნიერება: თითქმის დაქორწინების პირველ თვიდანვე ჩამოვარდა მათ შორის უთანხმოება და უსიამოვნება. საზოგადოებაში ბევრნაირი ხმა გავრცელდა; ზოგი ქმარსა სდებდა ბრალსა,—ანჩხლი და აუტანელ ხასიათის კაციაო; ზოგიც დრაგას ამტყუნებდა, ქმარსა ჰღალატობსო. ვინ სტყუოდა, და ვინ მართალს ამბობდა—ალლაჰმა უწყის, მაგრამ საქმე მით დასრულდა, რომ ქმარი საგიჟეთში მისცეს და ახლოს არავის აკარებდნენ. ორის თუ სამის წლის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა. ზოგიერთი იმ ოჯახის მახლობელნი დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ,—დრაგა თავის მოტრფიალეთა ჩაგონებით მოიმოქმედა ეს საქმე, რომ როგორმე თავიდან მოეცილებინა ქმარი, თორემ იგი სრულიად საღის გონების პატრონი იყოო.

დარჩა დრაგა ორის პატარა ქალით ისევ უპატრონოდ. თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ახალგაზრდასა და კეკლუცს ქვრივს მალე გამოუჩნდებოდა საქმრო, მაგრამ მისი სათაკილო ყოფა-ქცევა ყველას აშინებდა და ამიტომ მასთან სიკვდილამდე შეუღლებას ვერავინ ჰბედავდა.

მეტად გაუჭირდა ცხოვრება დრაგას; დილით საღამომდე გამუდმებით ხელსაქმობდა, გაიჩინა მოსადილეები, რომელთაც თავის ხელით უმზადებდა იჯრას, იყვანდა მდგმურებს, რომელთაც თვით ულაგებდა და უსუფთავებდა ოთახებს, ჰრეცხაობდა და სხვ.; ერთის სიტყვით, პირველ ხანებში იშვიათი სიმარჯვე და მხნეობა გამოიჩინა; მაგრამ სამწუხაროდ, ბოლომდე ველარ გასტანა, მალე მოჰბეზრდა ასეთი ცხოვრება და განიზრახა თავის დაღწევა ამ სამძიმო მდგომარეობიდგან.

ამასობაში კარის კაცებმა, რომელნიც შესტრფოდნენ ცქრიალა ქვრივს, იმდენი მოახერხეს, რომ ნატალია დედოფლის (ალექსანდრე მეფის დედის) ყურამდეც მიაღწევინეს მხნე და გამრჯელ ქვრივის უმწეო მდგომარეობის ამბავსა. დედოფალმა მოისურვა პირადად ნახვა ამ ცხოვრებისაგან დაჩაგრულ ადამიანისა. დრაგამ პირველ ნახვისათანავე მოჰხიბლა ნატალია დედოფალი, როგორც გარეგნობით, ისე თავის მოხდენილ სიტყვა-პასუხით. ისე შეებრალა და თანაც მოეწონა დედოფალს დრაგა, რომ მაშინვე თავის ფრეილინად დაჰნიშნა; მისი პატარა ქალები-კი ვენის საუკეთესო დედათა ინსტიტუტში მიაბარებინა თავის ხარჯით.

*) იხ. „ივერია“, № 117.

# ფელეტონი

## „კამისია“ *)

(სურათები სოფლის ცხოვრებიდგან)

### V**)

— საშინელი ბრიყვი კია ეს ჩვენი ზემლამერი, ქა! ნახე, ჯამი როგორ შეუბრუნა!.. მოუბრუნდა თებრონია ეფემიას, როდესაც გამოვიდნენ მეორე ოთახში.

— მაგათგან მეტს ნუ ითხოვ, ქალო! როგორც უჯობს, ისე იქცევა; ძალა ხელში აქვს.

— როგორ .. განა პავლეზე მეტი ძალა აქვს?.. იწყინა თებრონიამ.

— ძალაზე არ გეუბნები, ზემლამერია და ეხლა ეგ ყველას ბატონია.

— ისემც დაურჩება თავი! შეხე, რასა ჰგავს. სწორედ მოხარშული, გაფცქვნილი ქარხალია!.. გაგულისებით დაუმატა თებრონიამ, თანაც თითქო კიდევაც დაკმაყოფილდა, რომ ასე დამცირება მოახერხა ივან პეტროვიჩისა და გამოვიდა ისევ სტუმრებთან, რადგან ისინი აპირებდნენ წასვლას. ივან პეტროვიჩი გამოემშვიდობა, ზრდილობიანად ხელზე აკოცა დიასახლისს და ჩაირბინა კიბე. ამას სულაც არ ეტყობოდა ღვინის დალევა, თუმცა სამი ბოთლი გადაეკრა. მაშინ, როდესაც სხვები ძლივს იდგნენ ფეხზე, ეს მიდიოდა თავჩაღუნული სოფლის კანცელარიისკენ ლიღინით. ივან პეტროვიჩს უყვარდა ეს მხარე. როცა-კი მოვიდოდა გამიჯვნის დრო, ყოველთვის ისე მოახერხებდა, რომ აქეთ გამოეგზავნათ, რადგან დიდი ხანია რაც ალლო აელო ხალხისა. ხალხს უყვარდა მშვიდობიანი, სიტყვა-მახვილი ივან პეტროვიჩი და თვით ივან პეტროვიჩსაც ხომ უმეტესად გული მიუხაროდა ამათკენ.

— შენ სხვა ზემლემერებთან შესადარებელი არა ხარ... შენ ჩვენი ძვირფასი ივან პეტროვიჩი ხარ... ხშირად მოესმოდა ყურში და ესეც იფერებდა, სარგებლობდა შემთხვევით.

— საშინელი ბრიყვები და მკაცრები არიან სხვები, თითქო ბატონებიც იყვნენო, ისე გიბრძანებენ.

— ბრრრ... ზიზღით გაიძახოდნენ თავადები იმ გახსენებით, რომ შეიძლებოდა ამათ გარდა კიდევ სხვასაც ებრძანებინა. ყველა ეს კარგადა ჰქონდა გულში ჩანახსოვრებული ივან პეტროვიჩს და ფრთხილობდა, მეტი არა მოსვლოდა-რა ქცევაში, თუმცა ამასთანავე ისრულებდა ყოველ სურვილს.

— კამისია აცოცხლა ღმერთმა! მოისმა ამ დროს უკანიდგან სალამი. ივანე პეტროვიჩმა აიღო თავი და დაინახა ხანში შესული გლეხი, ზურაბა ფანდარაშვილი, რომელსაც დიდიხანია იცნობდა, როგორც ღონიერ, შეძლებულ გლეხს; ამისმა დანახვამ ივან პეტროვიჩს კვალად გაუღიმა სახე და ამანაც ქუდი მოუხადა.

— ოჰ, ზურაბ, როგორა ხარ?.. რას შვრები?..

— გახლავარ, შენი ჭირიმე, ბატონო, თქვენთან ერთი სათხოვარი მაქვს და მაგიერად მიმსახურე, უთხრა ამან და თანაც მიიხედ-მოიხედა.

— სთქვი. ზურაბა ცოტა უკან დადგა, რომ ივან პეტროვიჩს სიბრიყვეში არ ჩამოერთმია მისთვის გვერდში ამოდგომა, მაგრამ თვითონ ივანემ წაავლო ხელი და თავის ახლო დაიყენა.

— აი, შენი ჭირიმე, ბატონო, დაიწყო გათამამებულმა ზურაბამ—თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ჩვენ ოჯახში სამი ძმის წილობა გახლავართ გაუყრელები.

ორმა ძმამ თქვენი ჭირი წაიღო და იმათი ობლები ოთხ ოთხი სული თავს შემომეხვივნენ თავიანთის დედებით მჭამლებათ.

— შაიცა! ნაშ ზაქარა და ბესო დაიხოცნენ?—ჰკითხა თანაგრძნობით ივან პეტროვიჩმა.

— დიახ, ბატონო, თქვენი ჭირი წაიღეს.

— როგორც მახსოვს იმათი უფროსი შვილები ეხლა მოზრდილები უნდა იყვნენ!— მიატანა მიწის—მზომელმა და თვალი-თვალში გაუყარა ზურაბას, რომელიც დაიბნა და თავი ჩაჰკიდა ძირს.

— ისე, ჰო, დიახ, არც ძალიან დიდები გახლავან. ერთი ჩვიდმეტის წლისაა და მეორეც მეთოთხმეტეშია... ჩემი ოთხი ბიჭის ტოლას ისინი მაინც ვერას გააკეთებენ, რომ თანასწორნი მოწილეები იყვნენ ოჯახში... ის დანარჩენი ორი პაწაწა ბიჭებიც ან დაიზდებიან, ან არა, ვინ იცის...—ივან პეტროვიჩი თითქო მიუხვდა ზურაბას რის თქმაც უნდოდა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მერე, მერე, სთქვი!

— მერე და ეს ორი წელიწადია, რაც იასონისგან ვიყიდეთ ნაფუძარი და იმაში კაი ორმოცი თუმანი მივეცით. ახლა, ბატონო, ხვალ ის მიწა უნდა დაიყორღნოს და როგორ უნდა დაიყორღნოს?

— როგორ თუ როგორ? როგორც წესია სამის ძმის სახელობაზე...—მიუგო გამმიჯვნელმა.

ზურაბამ თავი მოიქექა.

— ჰმ! შე დალოცვილო, ხუთი ვაჟკაცი ერთი წილობაა და ორი წილობა ოთხმა ნაღირტლა ბიჭმა უნდა წაიღოს!.. მაგ საქმეს ნუ მიზამ...

— კანონისთვის ხუთი ხელია, თუ ოთხი სულ ერთია, მარტო ძმობას უყურებს.

— ბატონო, ამ საქმეში დამეხმარე და მაგიერი პატივისცემა მიიღე,—წარმოსთქვა ზურაბმა და ჯიბიდან ამოიღო ქისა. ივან პეტროვიჩმა სიამოვნების ნიშნად თვალები დაახამხამა.

— კიდევ გევედრები, ის მიწა ჩემს სახელზე დაყორღნე.—განაგრძო ზურაბამ და ქისიდან თუმნიანს თავი ამოაყოფინა

— მე რა მენაღვლება? შენ ხომ იქ იქნები? სამზღვრებს მაჩვენებ და მე შენს სახელზე შემოვუვლი,—მიუგო ივან პეტროვიჩმა საჩქაროდ, რომ ეს ფული მოევლო ხელში.— ეცადე შენი სახლიდან აქ არავინ მოვიდეს,— დაურთო მან.

— მაგას მე მოვახერხებ...—უპასუხა ზურაბამ და ფული გადასცა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ბატონო, ხვალ ადრიანად გიახლებით მინდორში.—დიდ მადლობას მოგახსენებთ,—ქუდი მოუხადა ზურაბამ, როდესაც დაინახა მომავალი იასონი. ივან პეტროვიჩმა გაუმატა ნაბიჯს, რომ იასონი არ მოსწრეოდა, მაგრამ ტყუილად. ის მოგორავდა ბურთივით ამისკენ.

— ზურაბა! წადი ნინიკასთან და მეც მალე მოვალ,—დაუძახა მან გლეხკაცს და თვითონ გაუხვია ივან პეტროვიჩისკენ, რომელმაც კანცელარიას მიატანა.

### VI

ნინიკას და ნატოს დიდხანს მოუხდათ იასონის ცდა. სადილობა გადავიდა და ის-კი არსადა სჩანდა. ნინიკა დაღვრემილი იჯდა თავის სახლის წინ და გაიყურებოდა გზისკენ.

— რა დღეს მოვცდი!.. რა დღეს!—გულში ფიქრობდა ეს.

— ნეტაი ხვალ მაინც როგორ იქნება საქმე? ეს ბარე ხუთჯერაც მივიდა გამმიჯვნელთან, მაგრამ არც ერთხელ არ დახვდა მარტო. უნდოდა მოლაპარაკებოდა, მაგრამ ზურაბამ ყოველი სურვილი დაუკარგა.

— ტყუილად, ჩემო ძმაო, კამისიას ტყუილად შეეხვეწები. ის ასე ამბობს მამული პრიკაზისაა, იმას გაყიდვა-გამოყიდვა არა სწამსო, სანამ თავის ფულს არ ამოიგებსო. იასონთან თუ გახდებით რასმეს, თორემ მე არა შემიძლიან რაო. უთხრა მან, როდესაც ნინიკამ ჰკითხა რჩევა.

— შენი ნაქერალა შენს სახელზე დააყორღნინე... ერთი ხუთი მანეთი მიაგდე იასონს, მეც ანგრე ვაპირებ და მივანებოთ თავი... ჩვენ ჩვენი მიწები ისევ ხელში დაგვრჩება.

— ხუთი მანათი?.. მერე საიდგან მოიტანოს ხუთი მანეთი?.. სწორედ ამაზე იყო დაღონებული ნინიკა. ვერ მოეაზრა, თუ საიდგან გამოეძებნა.

— კაცო, სად უბედურობაში დაიდუპა ი გასაწყალებელი, რომ აღარ მოშავდა? მოისმა ამ დროს ნატოს გაგულისებული ძახილი და თვითონაც თავს წამოადგა.

— წადი, ადამიანო, გაიგე მაინც, იქნება აღარ მოდის; ის ეხლა პავლიანთსა იქნება.

— ი ქათამი შეინახე, დედა-კაცო, ნასადილევს მაინც მოვა. კაცები დაბარებული ჰყავს.

— რაი იჰ.. ფულებს ხომ არა თხოულობს?

— არა, თვითონ თურმე მოაქვს ღასარიგებლად, წარმოსთქვა ნაძალადევის ღიმილით ნინიკამ და სახე დაეპრანჭა.

— ისემც დაურჩება ი ძერა-ბოტა თავი იმას!.. წაილაპარაკა ნატომ, ჩაჯდა ქრმის გვერდზე და თავი დაანდო ნიდაყვზე.

— მაშ, ხვალ მინდორში გადიან?.. იკითხა ამან კვალად და სახე მოიბრუნა ქრმისკენ. მარტო ეხლა შენიშნა, რომ ნინიკა ვერაფერ გუნებაზე იყო და შეკრთა.

— კაცო, რომ დაგაღონა?—ცუდი ამბავი ხომ არა გაგიგია რა?..

— მეტი ცუდი რაღა გინდა?!. უეჭველია, ეხლა იასონი ფულს ითხოვს და ჩვენ კი ერთი ფარაც არ მოგვეპოვება. სწორეთ ხელიდგან გამოგვეცლება ი მიწაი. დაუმატა მან დაღონებულმა. ნატოს თვალები გაუბრწყინდნენ. შეეცოდა დაბეჩავებული ქმარი, მაგრამ მისმა სახემ მტკიცე მეტყველება მიიღო.

— მერე მაგისთვის აგრე მოიკაკვე?! ჯავრით და დარდით რას გახდები?.. მიდექ, მოდექ, ერთი თუმანი იშოვნე, მიაწყვიტე თავში და მორჩი!.. ნინიკამ გაოცებით დაუწყო ყურება ცოლს, რომელიც ასე თამამად ლაპარაკობდა.

— ვიშოვნო?! მერე ვინ მომცემს?.. ყველას თავისთვის უჭირს.

— ვალ'ს რა გამოცვდება?.. საჩუქრად კი არა სთხოვ... განაგრძო ნატომ.

— ნეტაი რას მიედ-მოედები, დედა-კაცო, ისე ლაპარაკობ, თითქო ყეენის ქალი იყვე... ცალიერ ტიტინს რა ბაჟი სდევს? ნატოს ეწყინა ქრმის სიტყვები, გაწითლდა და წამოდგა ზეზე.

— შენ მაინც ანგრიე უხეირო ხარ, უბედურო, ჯერ იასონს ფულზე სიტყვაც არ უთქვამს და შენ კი წინდაწინ გული გიღონდება.

— რომ სთქვას?..

— იტყვის და თუ შენ ვერსად ვერას გახდები, მე ვიშოვნი. ნინიკა მიაშტერდა ცოლს; ის კი შუბლ-შეკრული იდგა და გვერდზე გაიყურებოდა.

— სად იშოვნი, ნატო? შეეკითხა მორბილებით ნინიკა.

*) იხ. «ივერია» № 118.

**) ამ სურათების მე-III თავში („ივ.“ № 113, გვ. 3) შეცდომით დაბეჭდილია „ამიასონის ჩამომავლები ვართ“; უნდა იყოს: „აპირანის ჩამომავლები“..,

სანამ კარგად არ მოშინაურდა სასახლის კარზე და სავსებით არ ასწონ-დასწონა ყოველივე, რაც მის გარეშემო ხდებოდა, დრაგას ღირსეულად ეჭირა თავი, რაიმე ცუდ ექვის აღება არავის შეეძლო; მაგრამ გამჭრიახი და დახელოვნებული ქალი, მალე შეეთვისა იქაურობას და შეუდგა თავის საქმეს. პატივისა და ანგარების მოყვარე დრაგამ ისე ხელოვნურად გააბა ქსელი, რომ ვერც ერთი წარჩინებული და შეძლებული კარის კაცი, მილან მეფიდგან დაწყებული, ვერ ასცდა მის მახეს; ყველა დაიპყრო და დაიმონავა. ამ გზით დრაგამ კარგა ძალ ქონებას მოუყარა თავი. ამასთანავე დედოფალსაც ისე შეუჩნდა, რომ ნატალიას იმის უსაყვარლესი არავინა ჰყავდა მთელს სასახლეში, და ეს იყო მიზეზი, რომ თავის პირმშო ალექსანდრეს, ჯერ კიდევ ბალღს, მხოლოდ იმას ანდობდა ხოლმე, როგორც ხასიათ დამჯდარს, დარბაისელსა და ჭკვიანს ბანოვანსა.

დრაგამ მშვენიერი სახლი იყიდა სასახლის მახლობლად, სადაც მხოლოდ უმაღლესი არისტოკრატია სცხოვრობს და იწყო მდიდრულად ცხოვრება.

ცბიერი დრაგა კარგად ჰგრძნობდა თავის ძალას, დარწმუნებული იყო, რომ შეეძლო მთელის სასახლის ხელში დაჭერა და კიდეც დაიჭირა, მხოლოდ თავი და თავი იმედი ხელიდგან გაუფრინდა: უზნეო და უხასიათო მილანი რისტიჩის ახალ გაზრდა ქალმა გაიტაცა და დრაგაზედ გული აიყარა, მართალია, არც შემდეგში აკლებდა თავის მოწყალე ყურადღებას, მაგრამ ისე, სხვათა შორის.

რისტიჩის ქალის გამო დიდი უთანხმოება ჩამოვარდა მილან მეფესა და ნატალია დედოფალს შორის. მილანს ვაჟი მიეცა რისტიჩის ქალთან და ამ გარემოებამ აღუძრა სურვილი, რომ ნატალიასთან ერთად ალექსანდრეც თავიდგან მოეშორებინა და თავის საყვარელზედ დაეწერა ჯვარი და რასაკვირველია, მემკვიდრედაც თავისი უკანონო შვილი გამოეცხადებინა. ნატალია დედოფალს კი მზე და მთვარე თავის პირმშო ალექსანდრეზედ ამოსდიოდა და, აბა, როგორ დაუთმობდა მილანს ამ საქმეში.

გვირგვინოსან მეუღლეთა შორის გამოაშკარავებულ ბრძოლის დროს, გაიძვერა ფრეილინამ ისეთი პოზიცია აირჩია, რომელიც უფრო ხელსაყრელად მიაჩნდა: ნატალია დედოფალს მესაიდუმლეობას უწევდა, მაგრამ არც მილანთან სწყვეტდა მეგობრობას. როდესაც მილანსა და ნატალიას ალექსანდრეს შესახებ შეექნათ ცილობა,—ვის უფრო ეკუთვნის მემკვიდრის ხალმძღვანელობაო, პირველად გადასწყდა, რომ ეს უფლება მამას ეკუთვნისო. ნატალია განაშორეს ალექსანდრეს და აღუკრძალეს, არამც თუ მისი ნახვა, მიწერ-მოწერაც-კი. რადგან მილანი დარწმუნებული იყო, რომ დრაგა მის ერთგულობაზე ხელს არ აიღებდა, არამც თუ არ უკრძალავდა ალექსანდრეს ნახვას, პირ-იქით, მოწადინებული იყო, რომ ეს ჭკვიანი და წინდახედული ქალი, რომელიც ხნოვანებით დედად შეეფერებოდა ჭაბუკ მემკვიდრეს, უფრო და ახლოვებოდა ალექსანდრეს. მილანს სჯეროდა, რომ დრაგა დიდი წინააღმდეგი იყო ნატალია დედოფლისა და თუ მაინც მიმოსვლა ჰქონდა მასთან, ეს იმიტომ, რომ მეფის სასარგებლოდ რაიმე საიდუმლოები შეეტყო ხოლმე. დედოფალიც სწორედ ასევე იყო დანდობილი დრაგაზედ; რასაკვირველია, დრაგა არც ერთთან არ იყო გულწრფელი, მაგრამ საფიქრებელია, რომ დედოფალს მეტის თანაგრძნობით ეპყრობოდა, ვიდრე მეფეს; თუნდა მარტო იმიტომ, რომ მილანმა რისტიჩის ქალზედ გასცვალა იგი და ამით განაქარწყლა მისი ოცნება გვირგვინისათვის. ეს კი საკმაო საბუთი იყო, რომ მეფის დაუძინებელ მტრად გარდაქცეულიყო და ნამდვილად ასეც მოხდა; ხოლო ცხადია, რომ თავის უკმაყოფილების გამოაშკარავება არ შეეძლო. დედოფლის წინააღმდეგ კი რა უნდა ჰქონოდა დრაგას? ნატალია იმდენად ენდობოდა ამ კარის ქალს, რომ უბრალო ეჭვიც არასოდეს არ აუღია იმაზედ. გარდა ამისა, დრაგას იდუმალს მისწრაფებას ვერც კი ამჩნევდა. პირიქით, იმ სამსახურისათვის, რომ თავის შვილ ალექსანდრესთან მხოლოდ ამ ქალის შემწეობით ჰქონდა მიწერ-მოწერა, კიდევ მეტ პატივსა სცემდა და უხვად აჯილდოვებდა ხოლმე.

როგორც ზევით ვსთქვით, თვით გარემოებამ შეუწყო მოხერხებულ დრაგას ხელი, რომ სერბიის მომავალ მეფეს უფრო და უფრო დაახლოვებოდა, და აბა, რაღას დაჰზოგავდა პატივის მოყვარე დიაცი, რომ ასეთ მარჯვე შემთხვევით არ ესარგებლნა და სავსებით არ აენაზღაურებია ყოველივე, რაც თავისად მიაჩნდა და უხასიათო მილანის წყალობით კი დაჰკარგა.

მ. ც

(შემდეგი იქნება)

## ჩვენებური ამბები

**სოხუმი.** თ. ილია ჭავჭავაძე სოხუმში. 22 მაისს საღამოზე სოხუმის „ბულვარში“ (ბაღი) სასეირნოდ გამოსულს ხალხში გაისმა მხიარული ჩურჩული „ილია ჩამოსულა, ილია გვწვევიაო“. და თითით უჩვენებდნენ ერთმანეთს ბაღში მოსეირნეს ჩვენს სახელოვანს მგოსანს ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც გაგრიდამ სოხუმში გამოევლო.

ყველას უნდოდა ახლოს დაენახა ეს სასიქადულო მამულიშვილი საქართველოსი, ყველა ჰნატრობდა მის ხმის გაგონებას და ფეხაკრებით მისდევდნენ უკან. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ბ-ნი ილია დასასვენებლად წავიდა. მაშინვე გადასწყვიტა საზოგადოებამ სადილი გაემართნა მის პატივსაცემლად... ორს თუ სამს საათში დიდძალმა საზოგადოებამ გამოაცხადა სურვილი სადილის გამართვაში მონაწილეობის მიღებისა და 24 მაისს კიდეც გამართეს სადილი თავად შერვაშიძეთა ბაღში. სადილზე მოწვეული იყო აგრედვე ტფილისის დრამატიული დასი, რომელიც ამ ჟამად სოხუმში იმყოფება.

თვალის წარმტაც სურათს წარმოადგენდა დიდს მანძილზე ქართულად გაშლილი სუფრა, რომლის აქეთ-იქით ჩამწკრივებული იყო მშვენიერი ხეივანი ხილნარისა და თავში-კი ამაყად იდგა ას წლოვანი მუხა. სამს საათზედ მასპინძელი საზოგადოება სულ შეგროვილი იყო და გულის-ფანცქალით ელოდნენ იმ წამს, როდესაც ბაღში ფეხს შემოსდგამდა ეს სოხუმის ქართველთათვის ძვირფასი სტუმარი.

ოთხი საათი იქნებოდა, რომ ბაღთან გაჩერდა ეტლი, რომელშიაც იმყოფებოდა ბ-ნი ილია და მისი თანამგზავრნი—გაგრაში გაგზავნილი ტფილისის თავად-აზნაურთა მიერ დეპუტაციის წევრნი. ამ დროს საგანგებოდ მოწვეულმა სამხედრო მუსიკამ დაუკრა ფრანგული მარში და აღტაცებული საზოგადოება მიესალმა და გაეცნო ბ-ნს ილიას და მის თანამგზავრთ.

სადილი დაიწყო ოთხს საათზე და გასტანა რვა საათამდე. სადილის დაწყებისას თ. ილიამ მასპინძელ საზოგადოებას მიჰმართა მოკლე, მაგრამ ფრიად საგულისხმიერო სიტყვით, რომელიც დაახლოვებით ასეთის შინაარსისა:

იგი პატივისცემა, რომელიც დღეს ჩვენ გვიძღვენით, მეტის-მეტია და უნდა მიეწეროს თქვენს გულკეთილობას, რომელიც მცირეოდენ ღვაწლსაც კი დიდად აფასებს ხოლმე. მე ჩემის ამხანაგების მაგიერ და ჩემ თავად დიდს მადლობას მოგახსენებთ ამ გადამეტებულ პატივისცემისათვის და ღმერთსა გთხოვ, გიხსნათ თქვენ, აქაური ქართველობა იმ საშინელ განსაცდელისაგან, რომელიც მე სულთამხუთავსავით თვალთ ამეტუზა, როცა აქაურობა დავიარე და დავათვალიერე. დღეს აქამომდე ამ მშვენიერს აფხაზ-ქართველთა მიწა-წყალს ხმლით ვინახავდით და ასე, თუ ისე შევინახეთ კიდეც. დღეს ხმალი ქარქაშში ჩაგეგო. დღეს სხვა მტერი მოდის, როგორც ვხედავ, ისე გულ-და-გულ და პირდაპირ-კი არა, როგორც პატიოსანი ხმალი, არამედ ჩუმად, ქურდულად, როგორც მაცდური და მპარავი, იგი მტერი ფულია, გაიძვერა და მზავარი. იგი ღიმილით და ალერსით მოგექცევათ, და ისე გამოგაცლით ხელიდან ამ ლამაზს, ტურფას, მდიდარს ქვეყანას, რომ პირველ ხანში იქმნება მადლობელნიც გაუხდეთ.

კიდევ ვიტყვი: ღმერთმა გიხსნათ ამ საშინელ მაცდურისაგან, ღმერთმა გქმნას და თამამ ხმლისაგან უძლეველნი არ იძლივნეთ მხდალ და მშიშარ ფულისაგან და შეინახოთ ეს ქართველის სისხლით მორწყული მშვენიერი ქვეყანა თქვენდა სადღეგრძელოდ და თქვენთა შვილთა და მახლობელთა საბედნიეროდ და თავ-მოსაწონებლად.

რასაკვირველია ბევრს ენიშნა ეს საგულისხმიერო სიტყვები, რადგან დღეს ისე გაძლიერებულია მამულების გაყიდვა აფხაზეთში, რომ ადვილად შესაძლოა, ჩქარა გამოეცალოთ ხელიდამ თავიანთი მიწა-წყალი აქაურ მკვიდრთ.

სადილზე სხვაც ბევრი კარგი სიტყვა წარმოითქვა

ბოლოს ერთმა ახალგაზრდათაგანმა დაახლოვებით შემდეგის სიტყვებით მიჰმართა თ. ჭავჭავაძეს: დღეს ზოგიერთმა თავიანთ სიტყვების წარმოთქმის დროს ჩვენ გვიწოდა აღმოსავლეთის მოძმეთაგან მოწყვეტილი ქართველობა. შეიძლება ბევრს გაუკვირდეს და სთქვას, რათ უნდა ვიყვეთ მოწყვეტილი ჩვენთა მოძმეთაგან, როდესაც ჩვენსა და ჩვენს მოძმეთა შორის არაფერი დამაბრკოლებელი კედელი არ არის ამართულიო, მაგრამ ნამდვილად-კი ეს ასეა, რადგანაც ჩვენში არ არის გავრცელებული ის, რამაც უნდა შეაკავშიროს ერთმანერთთან, ე. ი. არ არის გავრცელებული ქართული ჟურნალ-გაზეთობა და მწიგნობრობა და აი ამის წყალობით ვართ მოწყვეტილი ჩვენთა მოძმეთაგანაო.

როდესაც ჩვენში ფეხს მოიკიდებს ქართული ჟურნალ-გაზეთობა და მწიგნობრობა, მაშინ, სადაც უნდა ვიქმნეთ, ვერაფერი ვერ მოგვწყვეტავს ჩვენის ძმების გულიდამ და ეს რომ ასე იყოს, საჭიროა სოხუმში გაიმართოს სკოლა, რომელშიაც შეიძლებოდეს შესაფერი პირველ დაწყებითი აღზრდა მიიღოს მომავალმა ახალთაობამაო და სთხოვა თ. ჭავჭავაძეს, როგორც „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარეს იშუამდგომლოს სოხუმში წერა-კითხვის საზოგადოების სკოლის დაარსებისათვის.

სადილს შემდეგ ფოტოგრაფიული სურათი იქმნა გადაღებული სტუმართა და მასპინძელ საზოგადოების ჯგუფისა. შემდეგ თ. ილია, ხელში აყვანილი, მიაცილეს ეტლამდე, ჩასვეს შიგ და აღტაცებულის ვაშას ძახილითა და სიმღერით გამოჰყვნენ უკან და მიაცილეს გემამდე.

აქ საზოგადოება გამოეთხოვა და დიდხანს, უყურებდა მომავალს გემს და გზას ულოცავდა ძვირფასს სტუმარს, რომელსაც ფოთისაკენ მიაქროლებდა გემი.

კოლო.

**ქ. ქუთაისი.** 1-ს ივნისს შესდგა კრება ქუთაისის პურის მცხობელი საზოგადოებისა, რომელზედაც მოხსენდათ ანგარიში გამგეობის მოქმედებისა 1902 წ. განმავლობაში. ანგარიშიდან აღმოჩნდა, რომ საზოგადოებას ბევრი მიზეზები შეხვედრია საქმის წაყვანაში და უნახამს ზარალი, მაგრამ კრებამ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი ანგარიში და აღნიშნა დიდი სარგებლობა ამ დაწესებულებისა მთელი ქალაქის მცხოვრებლებისათვის და გადასწყვიტა: ზარალი შეავსონ ისევ პაიების ყიდვითა და უსათუოდ განაგრძონ მოქმედება ამხანაგობისა.

დასასრულ მოხდა არჩევნები და გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: სპ. მ. კვირკელია, ი. მესხი და ვარ. ჟორჟოლაძე. ზედამხედველ კომიტეტში ი. პურადოვი და პ. გოკიელოვი, რომელნიც დღემდის ითვლებოდნენ გამგეობის წევრებად და თავი დაანებეს პირველმა ავადმყოფობის გამო და მეორემ მოუცლელობის მიზეზით.

## რუსეთი

რუსეთის გაზეთებში დაბეჭდილია უმაღლესი რესკრიპტი საერო განათლების მინისტრის, ზენგერის სახელობაზედ.

გრიგოლ ედუარდის ძევ. ღვთით განსვენებულმა პაპაჩემმა იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ აგვისტოს 13 დღესა 1880 წელსა უმოწყალესად უბრძანა საერო განათლების სამინისტროს გამგეს, რათა პოლონიის სამეფოში არსებულს სასწავლებლებისათვის აღარ აეკრძალა სწავლება საღვთო სჯულისა იმ მოსწავლეთა ბუნებითს ენაზედ, რომელნიც რომის კათოლიკეთა სარწმუნოებისანი არიან.

აწ საკეთილოდ ვსცან, ვარშავის სამოსწავლო ოლქის უმრავლეს სასწავლებლებში შემოღებული წესი, თანახმად 13 აგვისტოს 1880 წლის უმაღლესის ბრძანებისა, შემოღებულ იქმნას ამა ოლქის დანარჩენს ვაჟთა ექვსსა და ქალთა ორს საშუალო სასწავლებლებშიც, რომელნიც ამ ოლქში არიან და დღემდე ამ მხრივ შეზღუდულნი იყვნენ, ამისთვის მევ მოგანდობთ თქვენ იზრუნოთ და ღონისძიება მიიღოთ, რათა მომავალ სამოსწავლო წლის დასაწყისიდგან ნება დართულ იყოს სწავლება სამღრთო სჯულისა რომის სარწმუნოებისა მოსწავლეთა ბუნებით ენაზედ უკლებლად ამ ქვეყნის ყოველ საშუალო სასწავლებლებში, რომლებშიაც-კი სწავლობენ ვაჟნი და ქალნი ამა სარწმუნოებისა.

— 26 მაისს ქ. პეტერბურგის მახლობლად პეტერგოფის გზა-ტკეცილზედ საიდუმლო პოლიციის აგენტის ხელმძღვანელობით პოლიციელებმა დაიჭირეს რამდენიმე

---

— ეგ მე ვიცი. ამ ერთი კვირის წინად აქ რო იყო დალალი სალომე, იმან მომაბარა ერთი თუმანი, ჰირნახული დამიკვეთეო და ჩვენც დავუკვეთოთ. განა ჩვენ ნაქერალში ამოსული, შინდის კურკასავით, მსხვილი წითელი მარცვლები სხვებისაზე ნაკლებად შეანათებენ თვალებში, თუ?

— აქამდისაც აგრე იტყოდი. მე კურთხეულო! შესძახა აღტაცებულმა ნინიკამ.

— აგერა კაცები მოდიან და ისინი-კი ჯერ არსადა სჩანს, დაუმატა ამან, როდესაც დაინახა აქეთკენ წამოსული ზურაბა და სამი სხვა გლეხი.

— გაპარსვის დროა, კაცო, გაპარსვისა! მოუვიდათ ამ თავადებსაც რთველი და გვპატიჟობენ! ამბობდა ღიმილით ზურაბა

— ხუმრობ თუ?..

— კი არა ვხუმრობ, მართალს ვამბობ... ეხლაც იმითვინ მოგვიყარეს თავი.

— არც არა მაქვს-რა და ვერცარას მივცემ! შესძახა ერთმა შავშავმა გლეხმა და ჯოხი დააბჯინა დედამიწაზე.

— ჰმ!.. არა გაქვს რა?.. მაგას ვინა გკითხავს მერე? როდესაც შეგსუსხამენ, კიდევაც გამოგაჩენინებენ...

— არა უშავს-რა, ბიძია, ეხლაც გავიჭიროთ საქმე, როგორაც იყვეს, ე მამულები მოვიგდოთ ხელში და მერე ღმერთი გვიშველის.

— ამდენ აღმართს არ შეიძლება ერთხელ თავდაღმართიც არ შეხვდეს. ქვეყანა ღერძზე ტრიალებს, ძმაო! ამ სიტყვებით გლეხებმა ჩაიკეცეს ნინიკას კარებზე და კარგა ხანს განაგრძობდნენ თავიანთ გაჭირებაზე ლაპარაკს. დროც მიდიოდა, თანდათან ღამდებოდა.

— ბიჭოს! სად არის ის ოჯახ ქორი?.. იქნება არც-კი მოვიდეს. წამოიძახა ერთმა გლეხმა მოუთმენლად,

— როგორ არა კაცო, გზაზე შემხვდა და დამაბარა ეხლავე მოვალო. გლეხებმა რავდენჯერმე შეუკურთხეს და განაგრძეს ისევ ბაასი. გამარჯვებული ნატო შებრუნდა ოთახში და ხელახლა დაუწყო დასუფთავება.

### VII

— აგერა მოდის! შესძახეს გლეხებმა და მსწრაფლ ზეზე წამოიშალნენ. მოახლოვებულმა იასონმაც თავი აიღო მაღლა და ამაყად დაუწყო ნაყმევებს ცქერა.

—ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა!.. ერთხმად მიესალმნენ გლეხები.

— აგაშენათ!.. ქუდები დაიხურეთ!.. მოწყალედ უთხრა იასონმა, მივიდა კარებთან და ჩამოჯდა ხის სკამზედ. გლეხები-კი გაჩერდნენ მის წინ მორჩილებით. იასონის ჩაწითლებული თვალები მხიარულად იყურებოდნენ, თანაც თავისთვის ღიღინებდა, კარგა ხანს ხმას არ იღებდა...

— თქვენ გებრძანებინათ, ბატონო, ჩვენი ხლება! დაიწყო ერთმა.

— ჰო, სწორედ მე შემოგითვალეთ!.. მიატანა საჩქაროდ იასონმა.

— გვიბრძანე რა სამსახურს გვიკვეთინებ?..

— სამსახური კარგია, ჩემო მიტრო, მაგრამ ხანდისხან ცარიელი სამსახურიც არა კმარა. თქვენ ხომ გაიგეთ, რომ ხვალ მამულები უნდა გაიმიჯნოს და ეს გამიჯვნა ხომ ისეთი საქმეა, რომ ვისიც სახელზე შემოივლება, მას ვეღარა დაარღვევს-რა. ვერც ბატონი და ვერც ვინმე სხვა.

— დიახ, სამდვილი სიტყვაა!..

— ჰო და ახლა მე რომ თქვენ შარშან-წინ მიწები მოგყიდეთ, ეხლა ის მიწები ჩემს ნებაზეა, მინდა თქვენ სახელზე დავყოლონი, მინდა და სულ წაგართმევთ. ხომ გაიგონეთ? ხმა აიმაღლა იასონმა, წამოდგა ზეზე და დაიწყო წინ და უკან სიარული, მაგრამ უფრო ბაჯბაჯი.

— დიდი ხანია ვიცით, ბატონო. მაგრამ იმედი გვაქვს, არ გაგვიმეტებთ, არ მოგვიძულებთ!

— ჩვენც თქვენები ვართ, შენი ჭირიმე! — ახმაურდნენ გლეხები.

— საქმე გამეტებაზე არ არის, ჩემო სვიმონო. ეხლა ის მამულები სულ ნახევარ ფასად გაქვთ აღებული. თქვენ თვითონ არ იცით, ზურაბამ რო ნაფუზარში ორმოცი თუმანი მომცა, მეტი ღირს? მაგრამ ხათრით დაგიკელით და დაგითმეთ. თუნდ შენი ნაქერალა, ნინიკა, განა მარტო იმ ფასად ღირს, რაც მოგიცია?—თვალივით არჩეული მიწები დაგითმეთ, ღმერთმა მოგახმაროთ.

— გადღეგრძელა ღმერთმა, ბატონო; ეხლაც გევედრებით, რომ ხათრს ნუ გაგვიტეხ და ნუ წაგვართმევთ.

— მეც ცოდო ვარ, ბიჭო, მეც ცოლშვილი მყავს სარჩენი, თქვენ კიდევაც რომ არა გქონდეთ-რა, იოლად წახვალთ, იმუშავებთ და იშოვით, მე-კი ჩემმა მამულმა უნდა მარჩინოს.

— დალოცვილო, ორის წლის წინად მიწა მოგვყიდე და ეხლა უკანვე მიგაქვს? რად გინდათ ჩვენი ცოდო? წარმოსთქვა უკმაყოფილოდ ზურაბამ.

— წართმევით არ წაგართმევთ, მაგრამ ფული-კი უნდა დაუმატოთ. შენ, ზურაბა, არაფერი გიშავს, იმ ორმოცს თუმანს ერთი ოთხიოდე თუმანი კიდევ მიუმატე, და შენც ნინიკა, ორი მაინც. სვიმონას-კი თუმანს დავჯერდები.

— ბარემ დაგვჭერი ყელები და ეგ არის!.. გაისმა უკმაყოფილება გლეხებში.

იასონმა იგრძნო, რომ გადააჭარბა; ხედავდა კაცები ამდენს ვერ მისცემდნენ და არჩია უკან დახევა.

— ცოლ-შვილი რომ გამიყიდო, მაშინაც ვერ მოვაგროვებ მაგდენს.

— არც არაფერი მაქვს და ი მიწაც ისევ შენთან იყვეს. გაისმა ბუზღუნი.

— მაშ, არას იძლევით? იკითხა იასონმა, რომელიც ცდილობდა თავი მაგრად დაეჭირა. გლეხები გაჩერდნენ.

— შენა, ზურაბ, რას იტყვი?

— სწორედ არ შემიძლიან, შენი ჭირიმე, მაგდენის მოცემა. თუ დაგვიკლებ, მაშინ კიდევ შეიძლება ვავბედო.

— მაინც რამდენს იძლევი?

— ხუთ მანეთს მოგართმევ; შენი ჭირიმე. წარმოსთქვა ზურაბამ მოკრძალებით.

— რაიო?.. როგორ თუ ხუთს მანეთს?.. განა მასხარად მიგდებთ. შენ რომ მაგას მეუბნები, სხვებმა რაღა უნდა სთქვან?.. აა?... არა, საჭირო არ არის არაფერი; ხვალ მინდორში ნახავთ: ვისთანაცა გაქვთ საქმე!.. შესძახა გაგულისებულმა იასონმა და ქუდი დაიხურა წასასვლელად. გლეხები შეკრთნენ.

— მოითმინეთ, ბატონო, ნუ გვიჯავრდებით, დაგვიკელით, შეგვიბრალეთ თქვენი ცოლშვილის საკეთილდღეოდ... ევედრებოდნენ ესენი. იასონი გაჩერდა და მობრუნდა...

— ბევრი ლაპარაკი არ ვიცი. უკანასკნელი ფასი სთქვით რას იძლევით?..

— ყელზე თოკი მოგვაბით და დაგვახრჩეთ, უკეთესი იქნება... მაგდენის გადახდა არ შეგვიძლიან...

— კარგი, ზურაბა, შენთვის ერთი თუმანი დამიკლია... სამი მომეცი...

— შენი ჭირიმე, ბატონო, ნუ გამირისხდები და უკანასკნელ სიტყვას მოგახსენებ...

ჩვენში ლაპარაკი რა საკადრისია და თქვენც თავი შეგაწყინეთ. ორ თუმანს მოგართმევთ და მეტის მოცემა კი, აიქ მაღლა ხეზედ, რომ ჩამომახრჩოთ, მაშინც არ შემიძლიან. იასონი ჩაფიქრდა.

— მეც ერთ თუმანს დამჯერდი ბატონო, წამოიძახა ნინიკამ.—მეტის ღონე არა გაქვს, ისიც სხვის ვალია და იმის სარგებელში უნდა თავი დავიხრჩო.

იასონმა რავდენჯერმე გაიარ გამოიარა დაფიქრებულმა, ბოლოს ისევ გლეხებისადმი სიბრალულმა სძლია და გადასწყვიტა აეღო, რასაც აძლევდნენ.

— შენა მიტრო, შენ რაღას იტყვი?.. ჰკითხა ამან ბოლოს შავშავ გლეხს, რომელიც თავჩაღუნული იდგა და დედამიწას დასჩერებოდა.

— მე, შენი ჭირიმე, განა არ მოგეხსენება ჩემი ხელმოკლეობა. სახლში არა მაბადია რა, ცოლშვილი შიმშილით მეხოცება. ერთი დღის მიწა, რომ მიბოძეთ, თუ გნებავთ, ისევ მიირთვით უკან... უპასუხა ამან.

— ამას მაინც აპატიე, ხელ მოკლე კაცია!.. დაემოწმნენ ორიოდე მეზობლები.

— რითვინაო?.. ეს რა არის და ჩვენ რა?.. განა ჩვენ კი გადაგვინარჩუნებია რამე?.. მეც ეხლა ის ფული უნდა ვივალო. წამოიძახა სვიმონამ.

— თუ ვაძლევთ, ყველამ მივცეთ.. პატიება რა შუაშია! შესძახეს ერთ ხმად...

— ორი სამი მანეთი მიტროსაც შეუძლიან გადიხადოს. შვილონიასა!

— შე კაი კაცო, რა მაქვს აბა მითხარით?.. ერთი გლახა ციკანი მყავს და ორი, გალეული ბატის ჭუკი... ეგ არის ჩემი ავლადიდება?!.

— მერე რა გნებავს? ის მსუქანი ციკანი კაი სადილს ვერ გააკეთებს თუ?.. იასონს გულით უნდოდა ეპატიებინა მიტროსთვის, მაგრამ როგორღაც ვერა ხერხდებოდა...

— საწყალი!.. განა ჩემზე საწყალია?.. შვიდი წვრილი შვილი მშიერ მუცლით შემოჰყურებენ ჩემს გზას... ეჰ, რაც იქნება იქნეს!.. ჯანდაბას ამათი თავი!.. გაიფიქრა ამან და ხელი ჩაიქნია.

— არა, მიტრო, ტყუილად ნუ წუწუნებ... შენი ციკანი, რომ გამოიყვანო, დაჰკლა და კაი სადილი გააკეთო კაკლებ ქვეშ, შენგან მეტიც არა მინდა რა... წარმოსთქვა იასონმა. მიტრომ თავი ჩაღუნა.

— რა იყო გეძნელება?.. მიატანა ამან შუბლ შეკრულმა.

— რა ვქნათ, ბატონო, ჩვენი გაჭირვება არავის შეუგნია... გავიმეტებ მა რა მეტი ჯანია? იმ ოხერ ციკანსაც თქვენი ჭირი წაუღია! ასე გლეხებმა გადასწყვიტეს იასონისთვის მიეცათ ხუთი თუმანი დღესვე და დაიშალნენ მოსატანად. იასონი კი შევიდა ნინიკას ოთახში, მოუჯდა გაშლილ სუფრას, რომელზედაც დედალი და ერთი ხელადა არაყი ელოდა. ეს მადიანად შეექცა და მიწვა იქვე მუთაქაზე. ნინიკა და ნატო კი გაგამოვიდნენ კარზე, რომ ბატონისთვის მოსვენება არ გაეკრთოთ.

ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასი.

(შემდეგი იქნება).

კაცი, რომელთაც არეულობათა მოთავეობა ჰბრალდებათ. უეცრად ხალხმა დაუწყო აგენტს და მის მხლებელთ ქვების სროლა; ალყა შემოარტყეს იმათ და სცდილობდნენ გაენთავისუფლებინათ დაჭერილი ამხანაგები. „ბოსიაკები“ ჰყვიროდნენ და ემუქრებოდნენ აგენტს. ერთი ქვა მას თავში მოხვდა. აგენტი წაბარბაცდა და დაეცა მიწაზედ. ცნობა-დაკარგული აგენტი საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც იგი მალე გარდაიცვალა.

— ქ. პეტერბურგის უნივერსიტეტის ორი სტუდენტი, ვერხოგლიადოვი და შევჩენკო, რომელნიც სახელმწიფო ეგზამენებს იჭერდნენ, წარადგინეს პირველად მომრიგებელ მოსამართლესთან და შემდეგ მოსამართლეთა კრებაზედ. იმათ ჰბრალდებოდათ პოლიციელის შეურაცხყოფა და ქუჩაში არეულობის მოხდენა. ორთავე ბრალდებულთ მომრიგებელმა მოსამართლემ 6 დღით დაპატიმრება მიუსაჯა. სტუდენტებმა განასაჩივრეს ეს განჩინება მოსამართლეთა კრებაში.

საქმიდან სჩანს, რომ სტუდენტები მშვიდობიანად სეირნობდნენ ქუჩაში და ამ დროს უცბად ვიღაც თავს დაეცა იმათ და პალტო წაართვა. იმათ მიმართეს პოლიციელს და მან ასტეხა ერთი ყვირილი და შტვენა, შეჰყარა მეეზოვეები და წააყვანია სტუდენტები პოლიციაში, სადაც ორივე გაჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი უნახეს. სტუდენტთა პროტესტს არავინ არ აქცევდა ყურადღებას, შეადგინეს ოქმი და ორივეს არეულობის მოთავეობა დააბრალეს. ერთი პოლიციელთაგანი გამოტყდა, რომ ოქმის შედგენას არ დასწრებია და მეორე დღეს ოქმი შეადგინეს. და მას ჩვენება ჩამოართვეს. პოლიციაში სტუდენტებმა მოითხოვეს, ეჩვენებინათ მათთვის კანონი, რომლის ძალით გაჩხრიკეს ისინი, მაგრამ იმათ სიტყვებს ყურადღება არ მიაქციეს.

მსაჯულთა კრებამ დაარღვია მომრიგებელ მოსამართლის განჩინება და გაამართლა ორივე ბრალდებული სტუდენტები.

— რუსეთის გაზეთები გადმოგვცემენ, რომ გაზეთ „Заря“-ს უკანასკნელ ნომერში შემდეგი განცხადებაა მოთავსებული რედაქციისაგან: „ჩვენგან დამოუკიდებელ გარემოებათა მიზეზით, გაზეთ „Заря“-ს შემდეგ ნომრების გამოცემა შეჩერებულია“. თუ ერთი კვირის განმავლობაში გაზეთი არ გამოვიდა, რედაქცია წერილებით აცნობებს ხელის მომწერლებს, თუ რა ნაირი საშუალებით შეუძლია დააკმაყოფილოს ისინი.

— გზათა სამინისტრომ საბოლოოდ შეიმუშავა პროექტი რკინის გზებზედ მოსამსახურეთა შესახებ.

ახალ დებულებას ექვიმდებარებიან მხოლოდ ის მოსამსახურენი, რომელნიც სახელმწიფო სამსახურში არ ითვლებიან, ამ დებულებით, კერძო რკინის გზებზედ ყველა თანამდებობა, გზის უფროსის თანამდებობის გარდა,—დაქირავებულ მოხელეთა თანამდებობად იქმნება ცნობილი, იმის მიუხედავად, ითვლება, თუ არა ამ თანამდებობის აღმასრულებელი რომელიმე სხვა უწყების სახელმწიფო სამსახურში. ქალებს მიიღებენ მხოლოდ ქალალდების წარმოების, სამკურნალო, სამოსწავლო და საანგარიშო განყოფილებაში, აგრეთვე ტელეგრაფისა და ტელეფონის სამსახურში. ფინანსთა მინისტრისაგან დამტკიცებულ განკარგულებით, ტელეგრაფისტ და ტელეფონისტ ქალებს არ ექმნებათ ნება განკარგულება მოახდინონ მატარებლების გაგზავნა-მიღებისა და მანევრების შესახებ. თავისუფალ ვაკანსიაზედ უნდა მიიღონ პირველად ის პირნი, რომელნიც უკვე იმყოფებიან რკინის გზის სამსახურში. გარეშე პირთაგან კი უპირატესობა იმათ ექნებათ, რომელთაც შედარებით უკეთესი განათლება აქვთ მიღებული. რკინის გზებზე მოსამსახურეთ არ ექნებათ ნება სამსახურს გარეშე ისეთი სამუშაო იკისრონ, რომელიც დაღალავს მათ და მავნე გავლენას იქონიებს მისგან პირდაპირი მოვალეობის ასრულებაზე, აგრეთვე ეკრძალებათ რკინის გზების იჯარების აღება.

— საშუალო სკოლის რეფორმის შესახებ საკითხის განხილვის დროს სამეცნიერო კომიტეტმა განიხილა აგრეთვე საკითხი კერძო სასწავლებელთა შესახებ და იმ აზრს დაადგა, რომ ის კერძო სასწავლებელი, რომელთაც სახელმწიფო სასწავლებელთა უფლებანი არა აქვთ, მიეცესთ თავისუფალი პროგრამა სამოსწავლო საგნების არჩევისა.

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** მინისტრ-პრეზიდენტ კომბის მდგომარეობა, რომელიც ერთ დროს შერყეულად მიაჩნდათ, თანდათან ძლიერდება. ის უთანხმოება, რომელიც სუფევდა რესპუბლიკელთ შორის მთავრობის კლერიკალთა საწინააღმდეგო პოლიტიკის გამო, ამ ჟამად აღარ არსებობს.

ამ დღეებში მელინ ბარტუს კაბინეტის ყოფილმა მინისტრმა წარმოსთქვა პარიჟში სიტყვა, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ რესპუბლიკელებმა, რომელნიც აქამდე მხარს უჭერდნენ მინისტრ-პრეზიდენტ კომბს, არ უნდა შეუწყონ ხელი მთავრობის მომხრეთა შორის უთანხმოების ჩამოგდებას, რადგან ამ განხეთქილებას რეაქციონერები თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ, ქვეყანას დააჯერებდნენ, მთავრობამ ხელი აიღო თავის დემოკრატიულ პროგრამაზედ და შესუსტდა მისი საერო გავლენაო. პოლიტიკა, რომელსაც მისდევენ კომბი და მთავრობის უმეტესობა, სრულიადაც არას უთმობს კლლექტივიზმს; იგი მიმართულია მხოლოდ იმ პროგრამისაკენ, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდეს ყოველი დემოკრატიული მთავრობაო.

**იტალია.** სოციალისტთა გაზეთი „Avanti“ ზღვათა მინისტრს ბეტტოლს წინააღმდეგ ამხედრდა და ითხოვს, რომ სამსახურს თავი დაანებოსო.

გაზეთი მინისტრს იმ ბრალსა სდებს, რომ ტერნის საჯავშნო ქარხანას ანგარულის აზრით მფარველობას უწევსო. გაზეთის სიტყვით, როდესაც კი ბეტტოლს ირჩევდნენ ხოლმე მინისტრად, ზემოხსენებულ ქარხნის ამხანაგობა ყოველთვის ასწევდა ხოლმე აქციებსაო. ამ ცნობამ დიდი პოლემიკა გამოიწვია გაზეთებში. ზოგიერთი გაზეთი „Avan.-ის მოემხრო და გამოაცხადა,—ამ დღეებში უკვე მოხდა ხელ-შეკრულობა ეტრნის, კრუპსა და იტალიის სხვა შესანიშნავ სამეტალურგო ქარხნებსა და ხომალდთა საალმშენებლო ამხანაგობათა შორისაო; ხოლო ტერნის ქარხანას უპირატესობა მიეცა იტალიის ფლოტისათვის საჭირო მასალა დაამზადოს, და ეს კი მოხდა სბერტოლის შემწეობითაო; ეს სბერტლი კი ცოლის ძმაა ზღვათა მინისტრის. სბერტლიმ, როგორც ამბობენ, 1,500,000 მანეთი მიიღო გასამრჯელო. ეხლა ზღვათა მინისტრს ამის შესახებ წერილი მოუთავსებია გაზ. „G. d'Italie“-ში და გულის წყრომით უარ ჰყოფს იმ ბრალდებას, რომელიც მტრებმა განზრახ მოახვიეს თავზეო.

მაგრამ დეპუტატ ფრანკეტტს მაინც შეუტანია წინადადება პალატაში,—გამოძიება მოახდინეთ ამ საქმის შესახებაო. ამ წინადადებას ამ დღეებში განიხილავენ. მთავრობას გადაუწყვეტია არ იქონიოს ფრანკეტტის წინადადების შესახებ მსჯელობა და პირდაპირ ნდობის გამოცხადება მოსთხოვოს კრებას.

**იტალია.** რომის პაპი ლეონ მე-XIII ძალიან დასუსტებულია. პაპი, მართალია, იღებს მისის ნახვის მსურველთ, მაგრამ ყველა ატყობს, რომ მისთვის ეს მიღება ძალიან ძნელია. თითოეულ აუდიენციის შემდეგ პაპი ისე იღალება, რომ ორ-სამ დღეს უნდა დაისვენოს ხოლმე. მახლობელნი ატყობენ, რომ სისუსტე თანდათან ემატება მის უწმინდესობას და დღეს არა, ხვალ მოსალოდნელია მისი სიკვდილი. წირვა-ლოცვაც ძლიერ თურმე უჭირს. დიდხანს დგომა წირვაზედ საშინლად ასუსტებს. ხელებიც მეტად უკანკალებს. ექიმი ლამონიო ხშირად დადის პაპთან და სცდილობს განაგრძოს მიმქრალი სიცოცხლე 94 წლის ღრმად მოხუცებულის მღვდელ მთავრისა.

**სერბია.** მეფე ალექსანდრემ სიკვდილის წინად უბოძა მინისტრ-პრეზიდენტს დიდი ჯვარი მილოშის ორდენისა. ეს ორდენი მანამდე არც ერთს სერბიის საპოლიტიკო მოღვაწეს არ ჰღირსებია. ამ ბოძების შესახებ რესკრიპტში მეფე მადლობას უძღვნიდა ცინცარ-მარკოვიჩს პოლიტიკის საზოგადო ხელმძღვანელობისათვისა და აგრეთვე არჩევნების სამაგალითო წარმოებისათვის.

„ივერიის“ ფოსტა

**კენტს.** თქვენი «სიზმარი» არ დაიბეჭდება.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 ივნისს.

**ბელგრადი.** წუხელ დეპუტატთა და სენატორთა საერთო კრებამ ამოირჩია ერთხმად პეტრე კარა-გეორგიევიჩი სერბიის მეფედ, კრებამ მაინც საჭიროდ სცნო ეხლავ მოეხდინა ზოგიერთი ცვლილება 1888 წლის ლიბერალ კონსტიტუციაში, რომელიც უპირველესად აღდგენილი იქნება.—ბელგრადის რამდენმამე ოჯახმა ითხოვა სამშობლო დაეტოვებინათ, მაგრამ მთავრობამ უარი უთხრა. მეფის გვამის გაჭრით შემდეგი აღმოჩნდა, „თავის ქალას სისქე 11 მილიმეტრი, ხოლო ნორმალური სისქე 6 მილიმეტრს არ აღემატება; დიდი ტვინი ქალას შეხორცებია; პატარა ტვინი გადიდებულია; ღვიძლი ჩვეულებრივზედ დიდია, შავის ფერისა და ზოგან ქონად გადაქცეულია.

**სოფია.** „ბულგარიის სააგენტო“ იუწყება, რომ არც ერთი ჯუჯუთი არ გადმოსულა ბულგარიის საზღვარს ოსმალეთიდგან, თუმცა ოსმალეთის მთავრობა წინააღმდეგს არწმუნებს.

**ჟენევა.** კარა-გეორგიევიჩმა მიიღო დეპეშა ზემლინიდგან, რომ სახალხო კრებამ ერთხმად აირჩია სერბიის მეფედ.

**რომი.** მეფემ მიიღო ამ სადამოს ცანარდელი. მეფეს ეველა ურჩევს მიანდოს კვლავ ცანარდელის სამინისტრო კაბინეტის შედგენა.

**ლონდონი.** მუდამ შემოუვრა ინგლისის ჯარს, რომ მოსპოს მისვლა-მოსვლა ბოგოტდეს და ბერბესს შორის.

**ადენი.** მუდამ შეიპყრო ქარავანი სანოვაგეთა გარორეროსა და ბოგოტდეს შორის. პოლკოვნიკი კობე გარშემორტყმულია გადაში.

**ბელგრადი.** სკუპშჩინისა და სენატის კრებამ ერთხმად პეტრე ყარაგეორგიევიჩი სერბიის მეფედ გამოაცხადა. ახალ მეფესთან ჟენევაში მიდის დეპუტაცია.—ამ ამბავს ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება. არჩევანის წინ სენატმა და სკუპშჩინამ გადასწყვიტა: აღადგინოს 1888 წლის კონსტიტუცია, გაამეფოს ობრენოვიჩების გვარის მაგიერ სხვა გვარი და შემოიღოს ზოგიერთი სხვა მცირე მნიშვნელოვანი ცვლილება.

3 ივნისი.

**პეტერბურგი.** რადგან გაზ. „ტაიმს“-ში ბევრი კორესპონდენციები იბეჭდებოდა ქ. პეტერბურგიდგან გაგზავნილი რუსეთის საწინააღმდეგო შინაარსისა და ყალბი ცნობები იბეჭდებოდა ამ კორესპონდენციებში, შინაგან საქმეთა მინისტრმა, მისდა მინიჭებული უფლებით განკარგულება მოახდინა ზემოხსენებული ინგლისური გაზეთის კორესპონდენტი ბრაჰამის რუსეთიდან გასაძევებლად. ამის შემდგომ ზაზეთ ტაიმსში დაიბეჭდა წერილები, რომლებშიც ბრაჰამის განძევება რუსეთიდან სიმართლის წინააღმდეგი ცნობებით იყო განმარტებული. სხვათა შორის ნათქვამი იყო, პოლიცია ემუქრებოდა ბრაჰამს ეტაპით გაგზავნითო, ნამდვილად კი ბრაჰამი გაგზავნეს საზღვარ გარეთ ისეთის წესით, რომ კანონის ყველა მოთხოვნილებანი დაცული იყო. მას არავინ არ ემუქრებოდა ამასთანავე, დიდი ბრიტანიის ელჩის შუამდგომლობით პატივსაცემლად, ხსენებული კორესპონდენტის პეტერბურგიდან განძევება სამი დღით გადადებული იყო.

**ბელგრადი.** სახალხო კრება გაიხსნა თავმჯდომარის ველიმიროვიჩის სიტყვით, რომელმაც სთქვა, მეფედ პეტრე კარაგეორგიევიჩი ავირჩიოთო. გაისმა აღტაცებული „ჟივიო“-ს ძახილი. კარაგეორგიევიჩი ერთხმად იქნა არჩეული სახელობით არჩევანით. დიდი აღტაცებაა. 101-ჯერ ისროლეს ზარბაზანი.

**პარიჟი.** მუნიციპალური საბჭო: გევილმა მოახსენა საბჭოს, როგორ გულმხურვალედ იქნენ მიღებულნი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელნი ქ. პეტერბურგში.

**რომი.** მეფემ მიანდო ცანარდელლის ახალი კაბინეტის შედგენა. ცანარდელიმ მოითხოვა დრო ამ საკითხის მოსაფიქრებლად.

**ვენა.** იმპერატორმა მოიწვია აპონი, ჩაკი, შაპარი და ფეიერვარი. ეს მოწვევა უნგრეთის სამინისტრო კრიზისის დასაწყისად მიაჩნიათ.

**ბელგრადი.** აირჩიეს თუ არა მეფე; იუსტიციის მინისტრი გამოვიდა ბალკონზე და მიმართა სასახლის წინ შეკრებილ ხალხს, რომელიც აღტაცებული „ჟივიო“-ს ძახილით მიეგება. ჯარები სასახლის წინ დარაზმულნი იყვნენ. მთელ ქალაქში დიდი აღტაცებაა.

**ბელგრადი.** მთავრობისაგან გაგზავნილ დეპეშაზე, რომლითაც ავაკუმოვიჩმა აცნობა თავად პეტრე კარაგეორგიევიჩს მისი მეფედ არჩევა, შემდეგი პასუხი იქნა მიღებული: ჩემი ძვირფასი ხალხის, ჩემი ერთგული ჯარის და პატრიოტული მთავრობის ერთგულება ბრწყინვალედ დამტკიცდა, რამაც დიდად ამაღელვა. ჩემი სერბიელი სულის სიღრმიდან მადლობას ვწირავ განგებას, რამეთუ ნებითა და მოწყალებითა ღვთისათა აღვედი ჩემ ბედნიერ წინაპართა ტახტზე. თქვენ, ბ-ნო მინისტრ-პრეზიდენტს, და გამგეობაში თქვენ ამხანაგებს გთხოვთ მიიღოთ ჩემგან მეფური მადლობაა და დარწმუნებული იყავით, რომ განსაკუთრებით სათნედ ვარ მოდრეკილი თქვენდამი.

**ბელგრადი.** მთავრობის განცხადებაზე სახალხო კრებამ უპასუხა რეზოლიუციით, რომელშიაც გამოთქმულია, რომ კრება აღტაცებით მიეგება 11 ივნისს მომხდარ ამბებით შექმნილ ახალ ვითარებას, სავსებით თანაუგრძნობს სერბიის ხალხს და მთელი სერბიის ჯარს და მოსაწონად სთვლის ჯარის მოქმედებას, რომელიც წესიერებისა და კანონის დამცველია და ყოფილა და იქნება შემდეგშიაც სერბიის წმინდა და ბრწყინვალე მომავლის ბურჯად. ამასთანავე სახალხო კრებამ უნდა გამოუცხადოს მთავრობას მადლობა იმ პატრიოტიზმისათვის, რომელიც ამ უკუღმართ დროს დამტკიცდა. კრება იწონებს მთავრობის განკარგულებას, რომელმაც უნდა განაგოს საქმეები ახალ მეფის ჩამოსვლამდის.

**ბელგრადი.** სახალხო კრებაზე მთავრობამ წაიკითხა განცხადება, რომელშიაც აღნიშნა 29 მაისის კრება და დღევანდელი მთავრობის შედგენა. მთავრობამ პირველ და უმთავრეს მოვალეობად მიიჩნია, ეზრუნა, რომ მშვიდობიანობა, წესიერება და კანონიერება დაცული ყოფილიყო სერბიაში სახალხო კრების მოწვევით და 1901 წლის კონსტიტუციის აღდგენით. მთავრობა აცხადებს, რომ ხალხისა და ჯარის დახმარებით მან დაიცვა მშვიდობიანობა და წესიერება სერბიაში. მთავრობა უხადებს ხალხის წარმომადგენელთ, 29 მაისს მომხდარ ამბების და ამ ბოლო დროს ჩვენი მოქმედების დაფასება თქვენი საქმეაო. და იწვევს კრებას, რათა მან თავისი მოვალეობა აასრულოს—მეფის არჩევას შეუდგეს და მოახდინოს განჩინება კონსტიტუციის შესახებ.

**ბელგრადი.** 11 საათს შემდეგ დეპუტატები მივიდნენ სკუპშჩინაში. ველი მიროვიჩმა განსნა კრება მოკლე სიტყვით და გამოაცხადა, მეფის არჩევას შესდგომოდნენ სახელობითი არჩევანით. ჟივკოვიჩმა დაიძახა „ჟივიო“ პეტრე კარეგეორგიევიჩის პატივსაცემლად რაიცა დამსწრეთ და სასახლის წინ შეკრებილმა ხალხმა აღტაცები გაიმეორეს. რამწამს დაიწყო არჩევანი და პირველმა კაცმა პეტრეს სახელი სთქვა, „ჟივიო“-ს ყვირილი გაორკეცდა. ამგვარიმე აღტაცებით მიეგებნენ მეორე მოარჩევნე დეპუტატს. ველი მიროვიჩის წინადადებით მხოლოდ იმ კაცის სახელს ამბობდნენ, რომელსაც ირჩევდნენ ამიტომ კრება ძალე დასრულდა. გაისმა კიდევ „ჟივიო“-ს ყვირილი. გენჩიჩმა და აკვარუმოვიჩმა უძღვნეს ახალ მეფეს მოკლე სიტყვა, რომელსაც ხალხი ტაშისცემით მიეგება. მიღებულ იქმნა ვილიმიროვიჩის წინადადება, პეტრე კარაგეორგიევიჩს დეპეშით შევატყობინოთ ამბავი არჩევანის შედეგის შესახებაო, აგრეთვე გადავცეთ მეფეს განსაკუთრებული დეპუტაციის საშუალებით. არჩევის აქტი და ავირჩიოთ ეს დეპუტაციაო. სხდომა დასრულდა ნაშუადღევის 5 საათზე. ციხეში 101-ჯერ გაისროლეს ზარბაზანი.

**ბელგრადი.** დეპუტაცია, რომელიც წავა ჟენევაში ახალ არჩეულ მეფესთან, შესდგება 24 კაცისაგან, რომელთა შორის 4 სენატორია და 20 დეპუტატი. დეპუტაცია გაემგზავრება ხვალ და წაიყვანს ოფიცრებს, რომელითაც მეფის სამხედრო ამალა უნდა შეადგინონ.

**ჟენევა.** პეტრე კარაგეორგიევიჩმა გამოუცხადა „შვეიცარიის ტელეგრაფის სააგენტოს“ წარმომადგენელს, რომ მიიღებს სერბიის გვირგვინს, პეტრე I-ს სახელს, მიმართავს სერბიის ხალხს მოწოდებით და გაემგზავრება ხუთშაბათს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ჰობსონ ბოულსმა, კონსერვატორმა იკითხა, აპირობს თუ არა მთავრობა დიპლომატიურ დამოკიდებულების განგრძობას იმ პირებთან, რომელთაც სერბიის მეფისა და დედოფლის მკვლელობაში მონაწილეობა მიიღეს და ახლა მოწადინებულნი არიან სახელმწიფოს მართვა-გამგეობის უფლება დაისაკუთრონ, ორატორმა იკითხა, რა გზას უნდა დაადგეს ბრიტანიის მთავრობა ამ ბოლო დროს მომხდარ ამბების შემდეგ და მოხდა თუ არა აზრთა გაზიარება სხვა სახელმწიფოებთან საერთო ღონისძიებათა შესახებ. ბალფურმა უპასუხა, ყველაფერი, რაც მოხდა. სახეში გვექვსო და რაც შეეხება დიპლომატიურ დამოკიდებულებას, იგი უკვე მოისპო მეფის სიკვდილის შემდეგ, რადგან ბრიტანიის ელჩი განსვენებულ მეფესთან იყო ინგლისის წარმომადგენლადო.

**პეტერბურგის ბირჟა**, 27 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,90 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . | 37,35 |
| ლონდონში ჩეკები . . . . . | 94,70 |
| ბერლინში ,, . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . | 37,60 |
| პარიჟის დისკონტი . . . . . | 5 6¹/₄ % |
| 5% სახელმწიფო რენტა . . . . | 98¹/₂ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | 100⁷/₈ მყიდ. |
| 5% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის | 95¹/₈ მყიდ. |
| 4% შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . . | 432¹/₂ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . . | 331 წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 284³/₄ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | 90¹/₄ გაყ. |
| 4¹/₂% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | 91⁸/₄ გაყ. |
| 4¹/₂% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. | 3425 გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . | 182 წვ. გაყ. |

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

**ბაქოს;** 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

**ყარსსა** და **ერევანს:** 1) საფოსტო № $74/_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუადღის 12 ს. 38 წ.

**ბორჯომს:** 1) სამგზავრო № $7/_{8}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 6 ს. 21 წ.

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის-ბათუმისაკენ:** 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარ სკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

**შორაპნისაკენ:** დღის 3 ს. 8 წ.


# განცხადება

## აბასთუმანში

ფირალოვის დაჩაში, ორ როშჩას შუა, იძლევა

## ოთახები

ყოველის მოწყობილობით და ჭურჭლით. შეიძლება თითო ოთახიც სასმელ-საჭმელით. იქვე იყვანენ ყმაწვილებს სრული შენახვით, შეიძლება მომზადებითაც მსურველთ ვსთხოვთ, ტფილისში დასტოვონ თავიანთი ადრესი, დვორცოვოი ქუჩაზედ, ფაბრიკა „მირის“ მაღაზიაში. აბასთუმანში-კი მიპმართონ იმავე დაჩაში, ანნა სტეფანეს ასულს ფირალოვისას.

(3—2)

## ახალი წიგნი

**Какъ улучшить Кавказскую народную школу** (როგორ უნდა აღდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა. ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც. ფასი ექვსი შაური (30 კაპ.)

(6—უ—3)

ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

## სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.